ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 26 მარტი, 2018 №71 (7616) ფასი: 50 თეთრი

**ზაზა სარალიძე: „ჩემი შვილი მისმა მეგობრებმა გაყიდეს“**



გვ.7

22 მარტიდან

180 ამბავი

ილია ჭავჭავაძე




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

# „არჩილს უთხოვია, სასაფლაოზე ავიდეთ, ბიჭებს მოვესიყვარულებიო. ასულა, ტელეფონის შუქზე დაუვლია საფლავები“

## საქართველომ ეროვნული გმირი სამხედრო პატივით დაკრძალა

გვ.3



გვ.2

**ზაალ კასრელიშვილი: „არ დავუშვებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთს დაუწვეს“**



„საქართველოს საგარეო კურსი არ შეიცვლება“

**„გაბუნიას თავს კიკინიანი ბიჭი დაესხა. სად გინახავთ კიკინიანი მარშელი?“**

„ამას ქვეყანაში ღირსების რევოლუცია მოჰყვება“



სანდრო ბრეგაძე: „ქრისტიანებს ასე კომუნისტებიც კი არ დევნიდნენ“

გვ.4



გვ.3

**გიორგი კახიანი: „პრეზიდენტობის ქალ კანდიდატზე არ გვიმსჯელია“**

**სამართალი** გვ.7

**„ლეოგრანდის“ საქმეზე დაკავებული გიორგი მიქელაძე ხანძრის დროს თურქეთში იყო**

თეონა ფუტკარაძე მეუღლის გათავისუფლებას ითხოვს



**ჯელალ ქიქავა ცემეს — „თავდამსხმელები დეპუტატმა მუხრან ვახტანგაძემ გამომიგზავნა“**



**იამზე ქავთარაძე: „ნუგზარ კახიძის მერე შეიძლება მე მომკლან“**



რა ხდება ვარკეთილის ბაზრობაზე

**ეკონომიკა** გვ.6



**ჯანდაცვის სამინისტროდან ტაქსისტობამდე — 26 წლის მერიკო კობერიძის ისტორია**



გვ.6

**პრემიერმა სასტუმრო „ახაშენი — ღვინის კურორტი“ გახსნა**



**სერგი გვარჯალაძე: „სატრანსპორტო ქსელის განვითარება ღამის ეკონომიკისთვისაც მნიშვნელოვანია“**

გვ.5

ISSN 1987-9385

**5** პეტრე მამრაძე: „რუსეთთან დიალოგი აუცილებელია“

**6** როდის შევა „ლიდერფუდი“ რითეილის ბაზარზე?

**8** რატომ არის აშშ-ში განხორციელებული საკადრო ცვლილებები ხელსაყრელი კრემლისათვის

**5** სოხუმიდან ჩამოსული სტუდენტი: „ჩემს მომავალს თბილისში ვხედავ“

# ზაალ კასრელიშვილი: „არ დავუშვებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთს დაუწვეს“

## „საქართველოს საგარეო კურსი არ შეიცვლება“





შორენა მარსაგიშვილი

რატომ ჩამოვიდა თბილისში ბელარუსის პრეზიდენტი, რაზე ცდილობს რუსეთი ჩვენს დაყოლიებას, რა მოხდება, თუ თბილისი მოსკოვის ნებას დაჰყვება, რას ნიშნავს დონალდ ტრამპის ბოლო გადაწყვეტილება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

***– დონალდ ტრამპმა 24 მარტს ხელი მოაწერა კანონს, რომლის თანახმადაც, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის ამღიარებელ ქვეყნებს აშშ შეზღუდვებსა და აკრძალვებს უწესებს. თქვენი აზრით, რას მოუტანს ეს საქართველოს?***

– საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან ვიდრე დღემდე აშშ-ს ასეთი პრაქტიკული დახმარება არ გაუწევია ჩვენთვის, როგორსაც ახლა გვიწევს. ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ აშშ ღიად და კატეგორიულად გვეხმარება.

დონალდ ტრამპმა კატეგორიულად გააფრთხილა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ყველა ის ქვეყანა, რომლებიც მოსკოვის გავლენის ქვეშ არიან და ან აღიარეს, ან აღიარებას უპირებენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. ამ ქვეყნებს ნათლად უთხრა ვაშინგტონმა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში ისინი ვერანაირ დაფინანსებას ვერ მიიღებენ.

როგორც საქმიანმა კაცმა, დონალდ ტრამპმა ეს განცხადება თეორიული, ფარატინა ქაღალდის დონეზე არ დატოვა და იქვე მეორე განკარგულება გამოსცა, რომლის თანახმადაც, აშშ-მ საქართველოს 105 მილიონი გამოუყო.

რამდენიმე კვირის წინ სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ განაცხადა, რომ აშშ-ისა და საქართველოს ურთიერთობა ეკონომიკაშიც უნდა ავიდეს სტრატეგიული პარტნიორობის თანამშრომლობის დონეზე. ამას თუ დავამატებთ სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობის დონეზე გადმოცემულ ჯაველინებს, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ვაშინგტონმა მოსკოვს საქართველოსთან ურთიერთობის გამო ყვითელი ბარათი უჩვენა.

***– რას მოიტანს ეს ყვითელი ბარათი?***

– ძალიან ბევრ რამეს. შედეგი უკვე დადგა. რუსეთი ბოლო ხანებში ძალიან აქტიურობს მოლაპარაკებების თემაზე, რასაც ჩვენ ამერიკის მიერ ნაჩვენებ ყვითელ ბარათს ვუკავშირებთ. კრემლი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს მოლაპარაკებები რაც შეიძლება მალე დაიწყოს.

***– ამიტომ გვევაჭრებოდნენ ტატუნაშვილის ცხედრით?***

– რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, რუსეთი იმ დონეზეა დასული, რომ მიცვალებულებით ვაჭრობს. დიახ, რუსეთმა ცხედრით ივაჭრა და მთელ მსოფლიოში მოიჭრა თავი.

***– თავი რუსეთმა მსოფლიოში კიდევ ბევრი რამით მოიჭრა.***

– ეგ სხვა საუბრის თემაა. ცხედრით ვაჭრობა მეტისმეტი იყო. იმას, რასაც ახლა მოსკოვი აკეთებს, ძალით დაყოლიება ჰქვია. ტატუნაშვილის ამბავი რომ არა, სხვა რამეს მოიფიქრებდა.

***– მაგალითად, რას?***

– ბევრად უარეს რამეს. რუსეთისგან კარგს არ უნდა ელოდო, თორემ ცუდის მოფიქრებაში ბადალი არ ჰყავთ. სადაც ცხედრით ივაჭრეს, იქ კიდევ ბევრ რამეს იკადრებენ.

***– ცხედრით ვაჭრობა სიმდაბლეა, მაგრამ რუსეთმა ამით შედეგს მიაღწია – საქართველო დასთანხმდა პირდაპირ დიალოგზე.***

– სამწუხაროდ, რუსეთმა მოახერხა ჩვენი ძალით დაყოლიება და თბილისი მოლაპარაკებების მაგიდასთან დასვა.

***– მოლაპარაკებაზე ერთ-ერთი საკითხი ძალის გამოუყენებლობა იქნება. მოსკოვი დიდი ხანია ცდილობს, საქართველოს ამაზე მოაწერინოს ხელი. შეძლებს ახლა რუსეთი, მისთვის სასურველ დოკუმენტზე მოგვაწერინოს ხელი?***

– მთელი უბედურება ის არის, რომ ამ მოლაპარაკებაზე კიდევ ბევრ სახიფათო თემას წამოსწევს რუსეთი. ძალის გამოუყენებლობაზე გაცილებით სახიფათოა აფხაზეთის რკინიგზის გახსნის საკითხი.

მოდით, ისიც ვთქვათ, მოლაპარაკებების წინ რა სასტარტო პირობები აქვთ რუსეთსა და საქართველოს. კრემლს საქართველოში თავისი გავლენების რესურსი ეწურება – პრორუსული ძალები მთლიანად რომ გაერთიანდნენ, მოსკოვი მაინც ვერ მიიღებს სასურველ შედეგს.

***– სასურველ შედეგში რას გულისხმობთ?***

– საქართველოში არჩევნების გზით ისინი ვერასდროს მიაღწევენ წარმატებას. ძალიან მალე ეს რესურსი სრულად იქნება ამოწურული. ამიტომ ჩქარობს მოსკოვი და ცდილობს, ამ ხელისუფლების პირობებშივე დაიწყოს თბილისთან მოლაპარაკებები. მისთვის ამაზე უკეთესი ხელისუფლება საქართველოში აღარ იქნება.

***– ეს ხელისუფლება რუსეთის ინტერესების გამტარებელია?***

– ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს ხელისუფლება რუსეთის ინტერესების გამატარებელია, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, რომ მომდევნო ხელისუფლება ბევრად ანტირუსული იქნება, რომელიც მოსკოვს არაფერს დაუთმობს. ეს ძალიან კარგად იციან კრემლში და ამიტომ ცდილობენ, ამ ხელისუფლებასთან მიაღწიონ რამეს.

ჩქარობს, ძალიან ჩქარობს კრემლი და სიჩქარის მეორე მიზეზი დასავლეთისთვის თავის მოწონებაა. მოსკოვი ცდილობს, ცივილიზებულ სამყაროს დაანახოს, რომ დიალოგისთვის მზად არის.

***– ეს რაში სჭირდება?***

– აქედან, როგორც მინიმუმ, ელოდება, რომ ახალ სანქციებს არ დაადებენ. ახალი სანქციების პროექტი დასავლეთს უკვე მომზადებული აქვს და მოსკოვს მისი ამოქმედების ძალიან ეშინია.

***– აქამდე ვერცერთმა სანქციამ ვერ შეაშინა და ახალი სანქციები შეაშინებს მაგათ?***

– ეს ძალიან სერიოზული დარტყმა იქნება. რუსეთს საზღვარგარეთ აქვს ერთი ტრილიონის აქტივები, რომლებსაც გაუყინავენ. ამის გარდა, დასავლეთმა ძალიან კარგად იცის, რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სად და რამდენი ფული აქვს დაბანდებული. ამ ინფორმაციის გახმოვანება იქნება უდიდესი სკანდალი და რუსეთი ცდილობს, საქმე აქამდე არ მივიდეს.

მისი სიჩქარის კიდევ ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ კრემლმა ეკონომიკის მოდერნიზაცია გამოაცხადა. დასავლეთის დახმარების გარეშე ის მოდერნიზაციას ვერ შეძლებს.

მოლაპარაკებებზე დაჯდომა მათ ძირითადად აფხაზეთის რკინიგზის გამო გვაიძულეს. მოსკოვს ჰაერივით სჭირდება აფხაზეთის რკინიგზის გახსნა, რომლითაც სტრატეგიულ პარტნიორებთან ოპერატიულ კავშირს აღადგენს. საუბარია სომხეთსა და ირანზე.

სომხეთთან და ირანთან თუ ოპერატიულ კავშირს აღადგენს, კრემლი აზერბაიჯანისა და თურქეთის გაკონტროლებასაც იოლად მოახერხებს.

დღეს თურქეთი რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორად ითვლება, მაგრამ ხვალ შესაძლოა ეს რეალობა შეიცვალოს. ანკარა ანტიდასავლური კოალიციიდან თუ გავა, მაშინ მოსკოვი აფხაზეთის რკინიგზის გახსნით ახლოს მივა თურქეთის საზღვრებთან და მეტ ზიანს მიაყენებს მას, ქურთების საკითხს გაუმწვავებს.

მისი გააქტიურების მთავარი მიზეზი საქართველოსადმი აშშ-ის ღია მხარდაჭერაა. როგორც უკვე გითხარით, ვაშინგტონი ასე ღიად არ დაგვხმარებია. ეს დახმარება კიდევ უფრო გაძლიერდება და მალე ჩვენი მეგობარი ქვეყანა ფიზიკურადაც დაგვეხმარება, რაც რუსეთისთვის კარგის მომტანი არ არის როგორც საქართველოში, ასევე მთელ კავკასიაში. ამიტომ ცდილობს, ამას რაღაცნაირად დაუპირისპიროს „კეთილი ნება“.

***– ალბათ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ საქართველოში მაინცდამაინც ახლა ჩამოვიდა ბელორუსის პრეზიდენტი, რომელსაც რუსეთთანაც კარგი ურთიერთობა აქვს და დასავლეთთანაც.***

– ლუკაშენკო საქართველოში ჩამოვიდა, როგორც შუამავალი და ეს პოზიცია მისთვისაც მომგებიანია. ჯერ ერთი, ის თავის მოსახლეობას, როგორც მშვიდობისმყოფელი, ისე წარუდგება, ხოლო დასავლეთს თავის თავს დემოკრატისა და რეფორმატორის ამპლუაში შესთავაზებს.

მის აქტიურობას მე, პირადად, დადებითად ვაფასებ. ლუკაშენკოს ფაქტორი რუსეთისთვის სერიოზული მუხრუჭია.

***– რა მხრივ არის მუხრუჭი?***

– ბელორუსი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს. ბევრი მცდელობის მიუხედავად, მოსკოვმა ვერ დაიყოლია ლუკაშენკო, ეღიარებინა აფხაზეთი და სამაჩაბლო.

რუსეთმა ვერც ყაზახეთის დაყოლიება შეძლო და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ისიც აღიარებს. ჩვენთვის ყაზახეთის პოზიციაც ძალიან მნიშვნელოვანია. კრემლი მიიჩნევს, რომ ყაზახეთი და ბელორუსი იქნებიან მისი დასაყრდენი.

ახლა რაც შეეხება საქართველოს სასტარტო პირობებს – ის აიძულეს, რუსეთთან ერთად დამჯდარიყო მოლაპარაკებების მაგიდასთან. ამას დაამატეთ ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. საზოგადოება დაქსაქსული და ერთმანეთთან დაპირისპირებულია.

ჩვენი გმირი ბიჭი, არჩილ ტატუნაშვილი, მიწისთვის არ გვყავდა მიბარებული, რომ რაღაც ძალებმა აქ სპექტაკლები დადგეს. პოზიციასაც და ოპოზიციასაც ეხერხებათ შიგნით ტემპერატურის აწევა. მტერთან ყველა ჩუმდება ხოლმე. ამათზეა ნათქვამი – შიგნით მგლები, გარეთ თხებიო.

აუცილებლად უნდა ვთქვა ჩვენს ავადმყოფურ ამპარტავნობაზეც – არასდროს კითხულობენ, როგორ ცხოვრობენ ადამიანები, პატიოსანი ხალხი როგორ წვალობს ლუკმაპურის საშოვნელად, რომ გარდაიცვლება, პანაშვიდებსა და გასვენებაში ერთმანეთს ასწრებენ.

ბევრი სამარცხვინო რამე დაგვემართა, მაგრამ პლუსებიც გვაქვს. მთავარი პლუსი ის არის, რომ უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა გვიკავია, რომლის ფასი მას შემდეგ ასჯერ გაიზარდა, რაც რადიკალური ისლამი მსოფლიოს შავი ჭირივით მოედო. საქართველო იბრუნებს ფუნქციას, იბრუნებს ავტორიტეტს და მას ექნება კონკრეტული სტატუსი, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

მიუხედავად იმისა, რომ მაგიდასთან დაჯდომა გვაიძულეს, ამ იძულების ფარგლებშიც შეგვიძლია, კაცურად ვივაჭროთ.

***– თქვენი აზრით, შეძლებს საქართველო რუსეთთან კაცურად ვაჭრობას?***

– შეიძლება ტყვე იყო, მაგრამ სიკვდილის წინ მტერთან კაცურად შებრძოლება გადაწყვიტო. საქართველოს ხელისუფლებას თუ სურს, კაცურად ივაჭროს, ჩვენ ამის რესურსი გვაქვს, ხოლო თუ ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ ვიღაცას წინასწარ უნდა, რუსეთს დაუწვეს, მაშინ ძალიან ცუდი ამბები დაიწყება.

***– რა დაიწყება? იმდენი რამე გადავყლაპეთ, ამასაც გადავყლაპავთ ალბათ.***

– არ გადავყლაპავთ. ვიმეორებ, თუ ვინმე აპირებს, რომ რუსეთს დაუწვეს, მაშინ საქართველოში მოხდება რევოლუცია. მერწმუნეთ, ეს არ იქნება არც ვარდებისა და არც კოკრების რევოლუცია, არც ჭინჭრებისა და არც ზღმარტლის. ეს იქნება ღირსების რევოლუცია და სამუდამოდ მოვაშორებთ პოლიტიკიდან იმ ხალხს, რომლებიც წლების განმავლობაში ყიდდნენ ქვეყანას.

***– თქვენი აზრით, მოლაპარაკებებზე კაცურად ვაჭრობა იქნება თუ რუსეთს დაუწვებიან?***

– ამას მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ვნახავთ. მოსკოვი ბევრ პროვოკაციას მოაწყობს. მართალია, პოლიტიკურ სპექტრში მხარდამჭერები აღარ ჰყავს, მაგრამ შეიძლება აქ რელიგიური კონფლიქტი გააჩაღოს. ამის მიუხედავად, დათმობაზე არ უნდა წავიდეთ.

***– ცოტა ხნის წინ ჩვენ მოგვიხდა დათმობაზე წასვლა.***

– ეს იყო მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა. ამ მაგიდასთან შეგვიძლია, ჩვენი ინტერესები დავიცვათ.

***– იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ინტერესებს ვერ დავიცავთ, ხომ არ არის იმის საფრთხე, რომ საქართველოს საგარეო კურსი შეიცვალოს?***

– როცა მეზობელი რუსეთია, ყველანაირი საფრთხეა მოსალოდნელი. ამის მიუხედავად, საქართველოს საგარეო კურსის შეცვლას გამოვრიცხავ.

***– რატომ გამორიცხავთ?***

– დასავლეთი ამას არ დაუშვებს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი კახიანი: „პრეზიდენტობის ქალ კანდიდატზე არ გვიმსჯელია“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, გიორგი კახიანი, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებსა და საპრეზიდენტო კანდიდატზე საუბრობს.

***– ბატონო გიორგი, გასული კვირის ბოლოს პარლამენტმა კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შესატან ცვლილებებს მხარი დაუჭირა. რას მისცემს ახალი კონსტიტუცია ქვეყანას და როდის ამოქმედდება?***

– კონსტიტუციის ახალი რედაქცია მას შემდეგ ამოქმედდება, რაც ახლად არჩეული პრეზიდენტი ფიცს დადებს. ჩვენ გვექნება კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას. კონსტიტუციური რეფორმის პროცესი სრულიად საჯარო იყო, ფაქტობრივად, ყველა იყო ჩართული, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი და სწორად წარმართული პროცესი, ამაზე მეტყველებს თუნდაც ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა. ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა ვენეციის კომისიის მიერ, დადებითად იქნა შეფასებული.

***– აქამდე საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყო. ზოგჯერ – სუპერსაპრეზიდენტოც, ზოგჯერ – ნაწილობრივ. კონსტიტუციის ახალი რედაქციით კი კლასიკური ტიპის საპარლამენტო მოდელზე გადავდივართ. რა გამოწვევების წინ შეიძლება აღმოვჩნდეთ? თუ ევროპული ტიპის ქვეყნისთვის ეს ოპტიმალური გადაწყვეტილებაა?***

– ცვლილებების ერთი ნაწილი გულისხმობდა სწორედ საპარლამენტო რესპუბლიკის საფუძვლების კიდევ უფრო გაძლიერებასა და სწორი სტანდარტების დამკვიდრებას. აქამდე არსებული მოდელი დაუბალანსებელი იყო. ეს იყო მოდელი, რომელიც საპარლამენტო კონტროლის ძლიერ მექანიზმებს ნაკლებად ითვალისწინებდა. განხორციელებულმა ცვლილებებმა ხელისუფლების დანაწილების რეალიზების თვალსაზრისით სწორი რეგულაციები მოგვცა პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობაში. ეს ცვლილებები მიმართული იყო პარლამენტის, როგორც საპარლამენტო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გაძლიერებისკენ.

***– გამოწვევებზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

– რა თქმა უნდა, საპარლამენტო რესპუბლიკას თავისი გამოწვევები აქვს. საპარლამენტო რესპუბლიკა ძლიერ პარტიულ სისტემას, საარჩევნო ტრადიციებს უნდა ემყარებოდეს, ზოგადად – მაღალ პოლიტიკურ ცნობიერებას. თუმცა, 95 წლიდან მოყოლებული, საკმაოდ დიდი პერიოდი გავიარეთ, რომ საპარლამენტო რესპუბლიკისთვის ეს მნიშვნელოვანი კრიტერიუმები შეგვექმნა. მე მაინც მგონია, რომ საპარლამენტო მოდელი დასავლური ტიპის ქვეყნისთვის ყველაზე ოპტიმალურია. თუ ევროპული ქვეყნების გამოცდილებას თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ მათ სწორედ ეს ევოლუცია განიცადეს.

გამოწვევებს რომ დავუბრუნდეთ, რა არის მაინც საპარლამენტო რესპუბლიკის უარყოფით მხარედ მიჩნეული? ცხადია – არასტაბილური მთავრობები. თუ მთავრობას ძლიერი საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერა არ აქვს, ხშირია შემთხვევები, როდესაც, უბრალოდ, მთავრობის ჩამოყალიბება ვერ ხერხდება. ამის ნათელი მაგალითია ის, რაც იტალიაში ხშირად ხდება. ცოტა ხნის წინ გერმანიას დასჭირდა კოალიციური მთავრობის ფორმირება. იმედი მაქვს, საქართველოში მსგავსი შემთხვევები თუ მოხდება, ასევე წარმატებით დასრულდება. თუმცა, ცხადია, რამდენად ეფექტიანი იქნება საქართველოში საპარლამენტო რესპუბლიკა, ამას დრო გვაჩვენებს. მე კი მგონია, რომ მმართველობის ეს მოდელი ნამდვილად გაამართლებს.

***– რაც შეეხება საარჩევნო სისტემას, რატომ ვერ მოხერხდა სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე 2020 წელს გადასვლა და რატომ გადაიწია 2024 წლამდე?***

– ამას არაერთი მიზეზი აქვს: პირველი, ერთგვარად გარდამავალი პერიოდი აუცილებელი იყო, რომ პოლიტიკურ ჯგუფებს უფრო მეტი გამოცდილება შეეძინათ, რათა მართლაც საბოლოოდ პროპორციულ სისტემაზე დაფუძნებული ძლიერი საპარლამენტო რესპუბლიკა ჩამოყალიბდეს. გარდამავალ პერიოდში პოლიტიკურ ჯგუფებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ, პარლამენტში იყვნენ წარმოდგენილი. ეს უკავშირდება თუნდაც იმ გადაწყვეტილებას, რომელიც 3%-იან ბარიერს გულისხმობს. ასევე, ამ გარდამავალ პერიოდში შესაძლებელი იქნება პოლიტიკური ბლოკებით არჩევნებში მონაწილეობის მიღება. რეალურად, შედარებით სუსტ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც 5%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემა აქვთ, მათ მეტი შანსი ექნებათ, რომ 2020 წლის მოწვევის პარლამენტში წარმოდგენილი იყვნენ. ამიტომ ვამბობ, „გარდამავალი პერიოდი“. ეს დრო ამ პარტიებს მეტ დროს აძლევს, რომ 2024 წელს სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემისთვის მოემზადონ.

სიმართლე გითხრათ, ეს განსხვავებული რეგულაციები ლოგიკურადაც გამართლებულად მიმაჩნია. თუმცა, რასაკვირველია, სხვა მიზეზებიც იყო, თუნდაც ის, რომ უმრავლესობის შიგნითაც არ იყო სრული კონსენსუსი, რომ 2020 წელსვე გადავსულიყავით მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე. რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, უმცირესობაც კი არ უჭერდა მხარს თავიდან არსებული ბონუსის ფაქტორის გამო. მიზეზების მთელი კომპლექტი იყო, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ეს გარდამავალი პერიოდი მოგვცა. თუმცა, საბოლოოდ სწორი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

***– რატომ ერთჯერადად 3%-იანი ბარიერი? პლურალიზმისთვის, მეტი დემოკრატიისთვის, მრავალპარტიული პარლამენტისთვის, მით უფრო, საპარლამენტო მოდელზე გადავდივართ, უკეთესი არ არის, პოლიტიკური პროცესი პარლამენტში იყოს? თუ ფიქრობთ, ცოტა, მაგრამ ძლიერი პარტიები უნდა იყვნენ მხოლოდ წარმოდგენილი პარლამენტში?***

– საარჩევნო სისტემის მიზანი მხოლოდ პარტიული პლურალიზმის უზრუნველყოფა არ არის. საარჩევნო სისტემის ლეგიტიმურ მიზანს ასევე სტაბილურობა წარმოადგენს. ერთი მხრივ, პარტიული პლურალიზმი და, მეორე მხრივ, სტაბილურობა.

***– სტაბილურობაში გულისხმობთ უმრავლესობის მოპოვებას? ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებაზე“ არ ვსაუბრობ, ზოგადად გეკითხებით.***

– არა, სტაბილურობა მხოლოდ უმრავლესობის მოპოვებას არ გულისხმობს. რაზეც უკვე ვისაუბრე, როდესაც მკითხეთ, რა უარყოფითი მხარე შეიძლება ჰქონდეს საპარლამენტო რესპუბლიკას, თუ საარჩევნო სისტემა სრულად პროპორციულია, ეს არის ხშირი სამთავრობო კრიზისები. ასეთი პროცესები, მით უფრო, ჩვენნაირი ქვეყნისთვის, რთულია, მის განვითარებასა და სრულყოფილ ფუნქციონირებას ხელს შეუშლის. ეს ქართული ნოუჰაუ არ არის, მთელ მსოფლიოში ასეა, საშუალოდ 5%-იანი ბარიერი არსებობს ყველა პროპორციულ საარჩევნო სისტემაში.



***– ბატონო გიორგი, საპრეზიდენტო კანდიდატზეც მინდა გკითხოთ, რამე სახის მსჯელობა თუ იყო გუნდში ამ საკითხზე?***

– 5-6 სხვადასხვა კანდიდატი შემიძლია დაგისახელოთ, რომელიც მედია-საშუალებებიდან მოვისმინე, რომლებზეც თითქოს გუნდში კონსულტაციები იყო.

***– არცერთი არ არის რეალობასთან ახლოს?***

– თითოეული მათგანი შეიძლება კარგი კანდიდატი იყოს, მაგრამ რეალურად კონსულტაციები არ ყოფილა. მესმის ჟურნალისტური ინტერესი, მაგრამ დღემდე ამ საკითხზე გუნდში კონსულტაციები არ გამართულა.

***– თითქოს მმართველ პარტიას ქალი კანდიდატი ეყოლება. რამდენად რეალურია?***

– მით უმეტეს არ ყოფილა კონსულტაცია იმაზე, რომ მაინცდამაინც ქალი კანდიდატი უნდა გვყავდეს საპრეზიდენტო არჩევნებში. ასეთი რამე არ ყოფილა. თუმცა, ამ იდეის საწინააღმდეგო არც არაფერი მაქვს, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა.

# „არჩილს უთხოვია, სასაფლაოზე ავიდეთ, ბიჭებს მოვესიყვარულებიო. ასულა, ტელეფონის შუქზე დაუვლია საფლავები“

შორენა მარსაგიშვილი

24 მარტს არჩილ ტატუნაშვილი მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს. მშობლიური მიწისთვის მისი მიბარება იმიტომ გაჭიანურდა, რომ რუსებმა და ოსებმა ცხედრით ვაჭრობა გადაწყვიტეს. საქართველოს ხელისუფლებამ ამას ვერაფერი დაუპირისპირა და ცხედარი მხოლოდ მაშინ დაგვიბრუნეს, როცა საჭიროდ მიიჩნიეს.

ნაწამებ ტატუნაშვილს რუსული ექსპერტიზის დასკვნაც გამოატანეს, რომელსაც ქართული მხარე არ ენდობა. თბილისში ტატუნაშვილს ხელახლა ჩაუტარდა ექსპერტიზა და შედეგები მალე იქნება.

ლტოლვილთა და განსახლების საქმეთა მინისტრი სოზარ სუბარი ამბობს, რომ ტატუნაშვილს სხეულზე ყველგან წამების კვალი აღენიშნება. დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსებმა ეს კვალი ვერ გააქრეს.

საქართველოს ხელისუფლება პირობას დებს, რომ ამ დანაშაულს ასე არ დატოვებს. რის გაკეთებას აპირებენ, ჯერ თავადაც არ იციან.

ამასობაში სოციალურ ქსელში ვრცელდება იმ პირთა ვინაობა და ფოტოები, ვინც ტატუნაშვილის წამებასა და მკვლელობაში მონაწილეობდა. ერთ-ერთი მათგანი ოკუპირებული ახალგორის ადმინისტრაციის უფროსი ფილიპ ხაჩიროვია, მეორე კი ოკუპირებული სამაჩაბლოს შს მინისტრი იგორ ნანიევი, რომელიც ქართველების მიმართ განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევა.

საქართველოს პრეზიდენტმა განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და პიროვნული სიმამაცის გამოვლენისათვის, ღირსეული სიცოცხლისა და მოწამეობრივი სიკვდილისთვის არჩილ ტატუნაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების გადაწყვეტილება მიიღო.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ტატუნაშვილის ამბავმა ოკუპანტის ნამდვილი სახე წარმოაჩინა.

– ეს არის ადამიანის გამტაცებელი და წამებით მკვლელი და ვნახეთ, რომ ამ მკვლელობის შემდეგ კიდევ უფრო მუხანათური გეგმა განხორციელდა, სურდათ, ჩვენთვის თითქოს შეურაცხყოფა მოეყენებინათ ცხედრის არგადმოცემით.

ჩვენ ვნახეთ ის საქართველოც, რომელმაც ღირსეული პასუხი გასცა ამ ყველაფერს. ჩვენ ვნახეთ ტრაგედიით არა გახლეჩილი, არამედ გაერთიანებული საზოგადოება.

მე მინდა ვუთხრა მათ, ვინც ასეთ ვერაგობებს გეგმავს ჩვენ წინააღმდეგ – ჩვენ ეს გაგვივლია, გაგვივლია საუკუნეების განმავლობაში და მზად ვართ ასეთი ბრძოლისთვის, რადგან ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდით და ამ ბრძოლაშიც გამარჯვებული გამოვალთ.

ღირსეული სიცოცხლისა და მოწამეობრივი სიკვდილისთვის არჩილ ტატუნაშვილს ღირსების ორდენით ვაჯილდოებ, – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.



საქართველომ ეროვნული გმირი სამხედრო პატივით დაკრძალა

თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას განცხადებით, არჩილ ტატუნაშვილმა საქართველოს სიყვარულს, მისი ღირსების დაცვას შესწირა თავი.

– კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ ოჯახსა და სრულიად საქართველოს. არჩილი არის საოკუპაციო რეჟიმის მსხვერპლი. მან წამებით საქართველოს სიყვარულს, მისი ღირსების დაცვას შესწირა თავი. ამიტომ საქართველო არასდროს დაივიწყებს თავის გმირს, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

გმირებს ქვეყანა არ ივიწყებს, საკითხავი ის არის, რამდენად შეძლებს საქართველოს ხელისუფლება მკვლელების გამოვლენასა და დასჯას.

არჩილ ტატუნაშვილის ოჯახთან მისასამძიმრებლად პატრიარქი ილია II-ც ჩავიდა. როდესაც რუსებმა ცხედრის გადმოცემაზე უარი გვითხრეს, ილია II რუსეთის პატრიარქს დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა. პატრიარქი კირილი დახმარებას დაპირდა, მაგრამ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსკოვს უნდოდა.

სოციალურ ქსელში არჩილ ტატუნაშვილის არაერთი ფოტო გამოქვეყნდა. ერთგან ის მუხათგვედრის ძმათა სასაფლაოზე მეგობრის საფლავთან არის გადაღებული, მეორეგან კი შინდისის გმირებიდან ერთ-ერთის ჩაფხუტი უკავია და მას ეფერება.

გარდაცვლილის ახლობლები და მეგობრები ყვებიან, რომ არჩილ ტატუნაშვილი ხშირად ადიოდა მეგობრების საფლავების მოსანახულებლად მუხათგვერდში.

სამოქალაქო მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ წევრი ლაშა ბერულავა სოციალურ ქსელში არჩილ ტატუნაშვილის ბიძის ნაამბობს ყვება:

– არჩილის ბიძა, მერაბ ტატუნაშვილი, რომელმაც აჩიკოს გამოსათხოვარ სუფრას უხელმძღვანელა, ყვება:

„სულ მინდოდა, არჩილს ბევრი შვილი ჰყოლოდა, ერთი მაინც ხომ დაემსგავსებოდა...

ბოლოს თებერვლის დასაწყისში იყო მუხათგვერდის სასაფლაოზე, ძმაკაცებთან მჯდარა მანქანაში, ღამით და უთხოვია, ამიყვანეთ, ბიჭებს მოვესიყვარულებიო, მანამდეც სულ ადიოდა...

ასულა, ტელეფონის შუქზე დაუვლია საფლავები, მოჰფერებია ბიჭებს და უკან გაბრუნებისას იმ ადგილას მოტრიალებულა, სადაც ახლაა დასაფლავებული, ხელი აუწევია და კარგად იყავით, ბიჭებოო...

ახლა ჩვენ ვეუბნებით იმავეს, რადგან ის ჩვენთვის არ მომკვდარა:

კარგად იყავი, არჩილ!“

მისი მეგობრის ლევან შერმადინის თქმით, არჩილ ტატუნაშვილი ხშირად ამბობდა, რომ მუხათგვერდში ერთი ადგილი მისი იყო.

**ლევან შერმადინი:**

– მუხათგვერდში ხშირად ადიოდა აჩო, სანთლებს დაუნთებდა და უცებ მოტრიალდებოდა ხოლმე, ბევრჯერ უთქვამს: „დაიმახსოვრეთ, აქ ერთი ადგილი ჩემიაო. გუშინ ოცნება აუხდა, თავის ძმებს ჩაეხუტა. მისი მეგობრები ერთმანეთს ვეუბნებოდით: აჩიკოს წყალი გადმოგვსხმოდეს, ძმაო, ესეც უნდა იყოს, სხვანაირად, როგორც ერი, როგორც სახელმწიფო, ვერ გადავრჩებით.

❖ ❖ ❖

არჩილ ტატუნაშვილს ოცნება აუხდა და ის მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს.

მისი მკვლელები კი ჯერ თავისუფლად და ბედნიერად დადიან. საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ მოკრძალებულ განცხადებებს აკეთებს.

# „გაბუნიას თავს კიკინიანი ბიჭი დაესხა. სად გინახავთ კიკინიანი მარშელი?“

## „ამას ქვეყანაში ღირსების რევოლუცია მოჰყვება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქართული მარშის ლიდერი სანდრო ბრეგაძე პასუხობს.

***– ბატონო სანდრო, თუ რა მოვლენები განვითარდა გასულ კვირას, ყველასთვის ცნობილია. კრიტიკის ქარცეცხლი წამოვიდა მარშელებისა და პირადად თქვენი მისამართით. თუმცა საზოგადოების ერთი ნაწილი ხელისუფლებასაც აკრიტიკებს ასეთი მკაცრი სასჯელის გამო. რას იტყვით თქვენ ამ ყველაფერზე?***

– მოხდა ის, რომ საქართველოს გარე ძალებმა, მე პირდაპირ შემიძლია ხელი დავადო უცხო ქვეყნებს და რამდენიმე დღეში პირდაპირ დავადებ ხელს რამდენიმე ქვეყნის საელჩოს. მათი მოთხოვნითა და ზეწოლით განხორციელდა აბსოლუტურად უკანონო ქმედებები ქართული მარშის ახალგაზრდების მიმართ! დღეს ჩვენ გვყავს 6 პოლიტპატიმარი, რომლებიც ციხეში სხედან იმის გამო, რაც არ არსებობს ბუნებაში და არანაირი სამხილი არ არსებობს, რომ ეს ადამიანები ციხეში ისხდნენ. მე უარესსაც გეტყვით.

***– საუბარია ჯგუფურად დაგეგმილ ხულიგნობაზე.***

– როდესაც საუბარია ხულიგნობაზე, ამ დროს ერთი კაციც კი არ არის დაზარალებული ამ საქმეში. ბატონ გაბუნიას თმის ღერიც კი არ შერხევია და არც მის თანმხლებ ქალბატონს, რომელიც მანქანაში იჯდა. ერთადერთი დანაშაული ამ ახალგაზრდებისა არის ის, რომ შეურაცხყოფილმა მართლმადიდებელმა ახალგაზრდებმა, რომლებმაც მოისმინეს ყოვლად უხამსი გამონათქვამები ღმერთის შესახებ, პასუხი მოსთხოვეს გვარამიას და სთხოვდნენ, რომ ბოდიში მოეხადა გაბუნიას მთელი ქრისტიანული საზოგადოებისთვის. სხვა დანაშაული არ არსებობს. არც არავინ გალახულა, არც სხეულის მძიმე დაზიანება მიუღია ვინმეს.

***– ბატონო სანდრო, ყველამ ნახა ცხვირპირდასისხლიანებული რუსთავი 2-ის ჟურნალისტი დავით ერაძე.***

– მე შემიძლია გითხრათ, რას წერენ ეს ადამიანები მარშელებზე, თუნდაც იგივე ერაძე. ლადო სადღობელაშვილზე წერენ, რომ ერთადერთი, რაც ლადო სადღობელაშვილმა გააკეთა, იყო ის, რომ მივიდა ავტომობილთან და ავტომობილის ფანჯარაზე მიუკაკუნა. ეს ხაზგასმით არის აღნიშნული, მხოლოდ მიუკაკუნა, იქ არ ყოფილა ავტომანქანის დაზიანების მცდელობა. მიუკაკუნა და გაბუნიას უთხრა, რომ ბოდიში მოეხადა ქრისტიანული მრევლის შეურაცხყოფისთვის. აი, ეს ყოფილა თურმე დანაშაული და ეს ყოფილა საშინელება!

***– გაჩნდა ასეთი ვერსიაც, რომ ეს იყო კარგად დაგეგმილი პროვოკაცია და ამას წამოეგო ქართული მარში. ამაზე რას იტყვით?***

– მე პირდაპირ გეტყვით, რომ რუსთავი 2-თან წავიდა დაახლოებით 10-15 კაცი. ეს არ იყო დაგეგმილი აქცია, სადაც ხალხის მობილიზაცია მოხდა და ასობით ადამიანი იქნა გამოყვანილი. ეს ბიჭები სპონტანურად მივიდნენ იქ. ჩემს ხელთ არსებული და დაზუსტებული ინფორმაციით, იმ დროს გაბუნია იჯდა ავტომობილში თავის იურისტთან ერთად და ელოდებოდა დემონსტრანტების გამოჩენას, რათა ავტომობილით შევარდნილიყო ამ ჯგუფში და გამოეწვია პროვოკაცია და მომხდარიყო ის, რაც მოხდა. ეს, რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე იყო პროვოკაცია იმისათვის, რომ ქართული მარშის აქტივობა შეეჩერებინათ და განეხორციელებინათ თავიანთი მიზანი. ეს ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ 17 მაისს თბილისში გაიმართოს გეიაღლუმი! აი, ნახავთ, ეს აღლუმი აუცილებლად გაიმართება! დღეს თუ ჩვენს წმინდანებს პრეზერვატივებს ახატავენ, ხვალ უარესს გააკეთებენ.

***– თქვენ რა დროს მიხვედით რუსთავი 2-ის ოფისთან?***



სანდრო ბრეგაძე: „ქრისტიანებს ასე კომუნისტებიც კი არ დევნიდნენ“

– იმ დროს მე რუსთაველზე ვიყავი, რადგან იქ არანაირი აქცია არ გვქონდა დაგეგმილი. ამიტომ არ ვიყავი იქ. ეს იყო შემთხვევითი შეხვედრა ჩვენი წარმომადგენლებისა გაბუნიასთან. ეს მოხდა ქუჩაში და არა მათ ოფისში.

***– თქვენთან დაკავშირებით თუ აქვთ კითხვები სამართალდამცავებს? ძალიან ბევრი ვერსია მოვისმინეთ. ითქვა, რომ თქვენ ითანამშრომლეთ პოლიციასთან და ამიტომ აღარ დაგაკავეს. რას იტყვით ამაზე?***

– რას ნიშნავს, ითანამშრომლა?! რა თქმა უნდა, მე ჩვენება მივეცი პოლიციას. გეტყვით, რომ 4 საათის განმავლობაში აბსოლუტურად უკანონოდ ვიმყოფებოდი პოლიციის განყოფილებაში და არავინ ელემენტარულ კითხვასაც კი არ მისვამდა ამ საქმესთან დაკავშირებით. როდესაც ვითხოვდი აეხსნათ, რატომ ვიყავი პოლიციის განყოფილებაში, კაციშვილი ვერ მპასუხობდა. წართმეული მქონდა ტელეფონი, ყველანაირი კომუნიკაციის საშუალება. 3 საათის განმავლობაში არ მეძლეოდა ადვოკატთან დაკავშირების საშუალება და ვიყავი სერიოზული ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ.

***– ეს რით გამოიხატებოდა?***

– ეს გამოიხატებოდა იმით, რომ მე მინდოდა გარეთ გამოსვლა და ძალით მიკეტავდნენ კარს. იქ მიდიოდა ჩვეულებრივი ჭიდაობა. მე ვითხოვდი, რომ თუ არ ვიყავი ეჭვმიტანილი, მაშინ გავეშვით გარეთ, მაგრამ პოლიციელები ფეხებითა და ხელებით მიკეტავდნენ კარს და მეჭიდავებოდნენ.

***– თქვენს ავადმყოფობაზეც დიდი აჟიოტაჟი ატყდა, თქვეს, რომ ეს ყველაფერი გამოიგონეთ. რა მოხდა რეალურად?***

– რა მოხდა და გითხარით, რაც მოხდა. როდესაც მეჭიდავებოდნენ და არ მიშვებდნენ გარეთ, დამემართა გულყრა. ტელეფონიც გამოაჩინეს ოთხი საათის შემდეგ, როდესაც სასწრაფო და ადვოკატი მოვიდნენ. ის ოთხი საათი აბსოლუტურად უკანონოდ ვიყავი გაჩერებული პოლიციის შენობაში.

***– თანამშრომლობაზე არაფერი გითქვამთ. ითანამშრომლეთ პოლიციასთან? გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ დაასახელეთ ის პირები, რომლებიც მარშის უკან დგანან, აფინანსებენ და შეკვეთებს გაძლევენ. ასეა?***

– როდესაც ასეთ სისულელეს ლაპარაკობენ, ეს არის მარტივად გადასამოწმებელი. ჩემი ჩვენება არის საჯარო. მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოში ვიწექი და ცუდად ვიყავი, მეორე დღეს ჩემი ფეხით მივედი პოლიციაში და მივეცი ჩვენება. ჩემი ჩვენება დაეხმარება იმ ბიჭებს, რომლებიც დღეს უკანონოდ არიან დაკავებული. იმ ჩვენებაში არც გამომძიებელს დაუსვამს კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ დგას ქართული მარშის უკან და თავისთავად არც მე გამიცია პასუხი. ნაძირლები არიან, ვინც მსგავს ინფორმაციას ავრცელებს. რას ჰქვია, ითანამშრომლა გამოძიებასთან?! დიახ, ვითანამშრომლე გამოძიებასთან იმ კუთხით, რომ დავწერე, ეს ბიჭები არიან უდანაშაულოები! სხვა რა სახის თანამშრომლობა უნდა ყოფილიყო? ვინც დაინტერესებულია, მიბრძანდეს და ნახოს ჩემი ჩვენება!



***– რას იტყვით სასამართლოს გადაწყვეტილებაზე?***

– სასამართლო საქართველოში არ არსებობს! მიხეილ სააკაშვილსაც არ გაუკეთებია ის, რაც ამ სასამართლომ გააკეთა! მიხეილ სააკაშვილის პერიოდში ადეიშვილი და დანარჩენები საქმეების შეკერვით მაინც იყვნენ დაკავებული და ცრუ ჩვენებებზე დაყრდნობით გამოჰქონდათ განაჩენი. აქ კი ესეც არ არის! უცხო ქვეყნებმა, მათმა საელჩოებმა პირდაპირ მოსთხოვეს საქართველოს ხელისუფლებას კატეგორიული ტონით, რომ არ უნდა იარსებოს ქართულმა მარშმა! ეს ადამიანები არ დაუჭერია საქართველოს ხელისუფლებას! ეს მინდა იცოდეს ყველამ. ეს ადამიანები დაიჭირეს იმ უცხოურმა ძალებმა, რომლებსაც უნდათ, რომ საქართველოში არ არსებობდეს არაფერი ეროვნული და ქართული! აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი...

***– რა დეტალი?***

– ადამიანები, რომლებიც თავს ესხმიან გაბუნიას ავტომობილს და ცდილობენ მის შეჯანჯღარებას, არიან კიკინებითა და საყურეებით. ახლა თქვენ სადმე კიკინიანი და საყურიანი მარშელი გინახავთ?! ეს ხომ აბსურდია!

***– რის თქმა გინდათ, რაზე მიანიშნებთ?!***

– ეს ადამიანები არიან ბასიშვილის ზონდერდაჯგუფების წარმომადგენლები, ნაცმოძრაობის დროს რომ ბასიშვილი იყო ზონდერი, სწორედ მისი დაჯგუფების და სწორედ მათ დაუწყეს გაბუნიას მანქანას ჭიდაობა. ვიმეორებ, მცირე სამხილიც კი არ არსებობს იმისა, რომ ეს ბიჭები იყვნენ დაკავებული! მაქსიმუმი, რაც შეიძლება ყოფილიყო, ადმინისტრაციული სასჯელია. მე არ მეგონა, რომ 2012 წლის გამარჯვებიდან 6 წლის თავზე საქართველო6 პოლიტპატიმარს მიიღებდა! ეს ბიჭები არიან ქრისტეს სიყვარულისთვის დევნილი ახალგაზრდები. მე მინდა მივმართო საპატრიარქოს, ჩვენს დედაეკლესიას – ეს ადამიანები აბსოლუტურად უკანონოდ არიან დაპატიმრებული. ამოიღეთ ხმა! ვიღაცა მკვლელების, ყაჩაღებისა და ნარკობარიგების გულისთვის მიდიან და შეწყალებას სთხოვენ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას და ამ ბიჭების დაკავებაზე პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული!

***– აქ არის მეორე მხარეც. გვესმის შეფასებები, რომ ეს არის გამოხატვის თავისუფლება და არავის აქვს უფლება, აუკრძალოს ვინმეს და მიუხტეს ჟურნალისტს...***

– მიუხტეს და რა?! მიაყენა ვინმემ გაბუნიას ფიზიკური შეურაცხყოფა?! ხულიგნობა არისო და არის ვინმე დაზარალებული?! დაზარალდა გაბუნია, რამე დაემართა?! თუნდაც თმის ღერი ჩამოუვარდა?!

***– ის არა, მაგრამ სხვა ჟურნალისტი დაზარალდა.***

– ვინ სხვა ჟურნალისტი? ერაძე, რომელიც წერს, რომ შეხლა-შემოხლის დროს რა მოხდა, თვითონაც არ იცის?! გაბუნიას დაუშავდა რამე?! არის ის დაზარალებული?!

***– ის აცხადებს, რომ შეუზღუდეთ თავისუფლება და მას არ ეძლეოდა გადაადგილების საშუალება დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში.***

– რომელ თავისუფლების შეზღუდვაზეა საუბარი, როდესაც ის ავტომობილში იჯდა და გადაადგილდებოდა! ჩვენ მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებს არ ვუშვებდით პარლამენტში, ხშირად გვყავდა სააკაშვილის ავტომობილი ალყაში მოქცეული და ამისთვის არავის დავუკავებივართ...

***– რაზე მიანიშნებთ? უკვე ბევრი პარალელი კეთდება სააკაშვილის ხელისუფლებასთან. რის თქმა გინდათ?***

– ანუ რა გამოდის, სააკაშვილის დროს უფრო მეტი დემოკრატია იყო, ვიდრე ახლა. აი, ეს არის ყველაზე სამწუხარო და საშინელი რამ, რომ სააკაშვილის პერიოდის შემდეგ უკან წავედით. არანაირი დემოკრატია ამ ქვეყანაში არ არსებობს. არაფერი შეცვლილა. მოსამართლე არის ჩვეულებრივი ყასაბი. ამ ბიჭებს შორის სამი სტუდენტია. შვილისტოლა ბავშვები არაფრის გულისთვის ციხეში გაუშვა, ნუთუ არ რცხვენია?! სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩურჩულით წაიკითხა მან საკუთარი გადაწყვეტილება. ვინმე რომ გალახულიყო, რამე დაზიანებები მიეღოთ, რაღაც დამტვრეულიყო, კი ბატონო, მაშინ ვიტყოდით, რომ აღელვებულმა ადამიანებმა რაღაც ჩაიდინეს. მსგავსი რომ არაფერი მომხდარა?!

***– ითქვა, რომ ქართულმა მარშმა ამით დაასრულა თავისი მოღვაწეობა. ისინი ამით გაანეიტრალეს და დაიშლებიანო. ასეა?***

– რით უნდა დაგვაშინონ?! ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვიქნებოდი, რომ მეც ამ ბიჭებთან ერთად ვყოფილიყავი და ვყოფილიყავი მეშვიდე, რომელიც დაპატიმრებული ვიქნებოდი ქრისტეს სიყვარულისა და ჩემი მრწამსისთვის. სააკაშვილის კი არა, კომუნისტების დროსაც არ ხდებოდა ასეთი სისასტიკე. ამაზე ხმას რატომ არ იღებთ, რამ დააბეჩავა ქართველობა?!

# სერგი გვარჯალაძე: „სატრანსპორტო ქსელის განვითარება ღამის ეკონომიკისთვისაც მნიშვნელოვანია“

დღეს ქალაქში სატრანსპორტო ქსელი გამართული არ გვაქვს და ადამიანებისთვის, რომლებიც ღამის ღონისძიებებზე მიდიან, გადაადგილების ერთადერთი საშუალება ტაქსია.

ამის შესახებ დედაქალაქის ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტის ხელმძღვანელმა სერგი გვარჯალაძემ პირველი არხის გადაცემა „კვირის ინტერვიუში“ სტუმრობისას განაცხადა.

– ამ მიმართულებით სხვადასხვა უწყებასთან მუშაობა უკვე დავიწყეთ. ვიცით, რომ თბილისის მერიაში ძალიან სერიოზული პროექტი მზადდება, რომელიც სატრანსპორტო ქსელის განვითარებასაც მოიცავს და ვფიქრობ, ღამის ეკონომიკის განვითარებისთვის ეს მნიშვნელოვანია, – განაცხადა სერგი გვარჯალაძემ.



გადაცემის წამყვან ირაკლი აბსანძის შეკითხვაზე, საბოლოოდ როდის იქნება მზად მერია იმისთვის, რომ მონაცემები შეაგროვოს და პრობლემის მოგვარებაზე საუბარი დაიწყოს, სერგი გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ მათი მიზანია, კვლევებზე, რომლებიც ახლა ტარდება, დაახლოებით, ორი-სამი თვის განმავლობაში ეკონომიკური კონცეფციის ე.წ. დრაფტი მიიღონ, რაც სტრატეგიის საფუძველი გახდება.

– სავარაუდოდ, ეს სამწლიანი სტრატეგია უნდა იყოს, რომელიც, რა თქმა უნდა, გაცხადდება, რადგან ბიზნესს ძალიან კონკრეტული მონაცემები და ძალიან კონკრეტული გადაწყვეტილებები უყვარს. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, გვექნება თუ არა საშუალება, რაღაც შეღავათები იყოს, საჭიროა თუ არა რეგულაციების შეცვლა, შევცვლით თუ არა მათ და ა.შ. – განაცხადა სერგი გვარჯალაძემ.

# პეტრე მამრაძე: „რუსეთთან დიალოგი აუცილებელია“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ წევრ პეტრე მამრაძესთან

***– ბატონო პეტრე, საქართველოსთან დაკავშირებით თუ ხედავთ ახალ მოცემულობას საგარეო პოლიტიკურ კონტექსტში?***

– პრინციპულად ახალი მოცემულობა ნამდვილად არ გვაქვს. ამაზე პუტინის არჩევნებსაც არ მოუხდენია გავლენა. თუმცა, ბუნებრივია, მსოფლიოში ვითარება ძალიან დინამიკურია და ყოველთვის რაღაც იცვლება.

***– პუტინის მეოთხე ვადით პრეზიდენტობის პირობებში პოსტსაბჭოთა ქვეყნები რას უნდა ველოდოთ?***

– ბოლო თვეებსა და დღეებში არჩევნების შემდეგაც არაერთი ღრმა ანალიტიკური წერილი გამოქვეყნდა, როგორც ობიექტური რუსი ანალიტიკოსებისა, ისე დასავლეთის ანალიტიკოსებისა. ყველა ერთხმად აცხადებს, რომ პუტინის რეჟიმს და თვითონ პუტინს ქვეყნის მოდერნიზაციისა და ფორმირების რესურსი არ გააჩნია და რომ პუტინს რეიტიგის შენარჩუნება-განმტკიცება მოუწევს ისევ და ისევ მტრის ხატის შექმნით, განახლებით, განმტკიცებითა და შესაბამისი „გამარჯვებების“ მოპოვების მეშვეობით.

თავის დროზე პუტინმა საკმაოდ დაცემული რეიტინგი ასწია (მაშინ მისმა რეიტინგმა 90%-ს გადააჭარბა) 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ამ რეიტინგმა საკმაო ხანს გასტანა. შემდეგ ყირიმის ანექსიამ პუტინს რეიტინგი იმდენად აუწია, რომ დღემდე მოჰყვა. ამიტომ ყველა თანხმდება იმაზე, რომ პუტინის პრეზიდენტობის მომავალი ექვსი წელი კიდევ უფრო სახიფათო შეიძლება იყოს, ძირითადად მისი უშუალო სამეზობლოსთვის, პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის.

***– ანუ რა იქნება არსებითი პუტინის ქმედებაში?***

– ანუ ეს არსებითია – რუსეთისაგან, პუტინისაგან ელოდებიან არა პოლიტიკის შერბილებას, არამედ მსოფლიოს აფრთხილებენ, რომ პუტინის ეცდება, უფრო ხისტი პოლიტიკა გაატაროს და თავის მოსახლეობას დაუმტკიცოს, როგორი შეუპოვარი მებრძოლია, როგორ ებრძვის დასავლეთს, პირველ რიგში, ამერიკას და როგორ აძლიერებს რუსეთის იმპერიას თუნდაც მიწების მიერთებით.

***– საქართველოსთან დაკავშირებით რა შეიძლება მოიმოქმედოს?***

– საქართველოსთან დაკავშირებით ერთ-ერთი მომზადებული ვარიანტი ექნება ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების მცდელობა. ამისთვის ყველა ფორმალური საბუთი პუტინს თაროზე კარგა ხანია უდევს. ვგულისხმობ ე.წ. რეფერენდუმებს, პლებისციტებს, იქაური ე.წ. პარლამენტის მოთხოვნებს, თხოვნებს რუსეთის დუმისადმი და ა.შ.

***– ე.წ. სტრუქტურები, ფაქტობრივად, რუსეთის შესაბამის სტრუქტურებს დაუქვემდებარა.***

– დე ფაქტო ანექსია, სამწუხაროდ, დამთავრებულია. „შეიარაღებული ძალებიც“ კი რუსულ შესაბამის ძალებს ექვემდებარება, ხოლო ცხინვალის რეგიონის აბსოლუტურად ყველა მცხოვრები რუსეთის მოქალაქეა (არ ვგულისხმობ ქართულენოვანი მოსახლეობის მცირე ნაწილს), პენსიასაც იღებენ, ჯარში გაწვევა მათზეც ვრცელდება. ერთადერთი რამ, რაც აკლია, არის ოფიციალური ანექსია, რასაც ალბათ „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენას დაარქმევენ და ვითომდა გაყოფილი „ორი ოსეთის“ გაერთიანებას, მაგრამ ეს დღეს დღის წესრიგში ნამდვილად არ დგას. ამას რუსეთი ინახავს იმ მომენტისთვის, როცა დასჭირდება.



***– ბოლო ერთი თვის განმავლობაში ვხედავდით ჩვენი მოკლული ჯარისკაცის დაპატიმრებულ ცხედარს. ჩვენი მოქალაქე, ახალგორის მკვიდრი, ჯერ მოკლეს, შემდეგ ცხედარს არ გვაძლევდნენ. სამაგიეროდ, როგორც ჩანს, უნდოდათ რაღაცის მიღება. ის რაღაც პრემიერის განცხადება ხომ არ იყო, რომ ის მზად არის პირდაპირი მოლაპარაკებისთვის რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან?***

– არავითარ შემთხვევაში.

***– ცხედრის გადმოუცემლობა ხომ არ უკავშირდებოდა, ვთქვათ, ასევე პუტინის არჩევნებს?***

– არა. ჩვენ გვაქვს განდიდების მანია. შევარდნაძე იუმორით ეტყოდა ხოლმე უცხოელებს – ამერიკელებსა და სხვებს, რა ვქნათ, ასეთია ჩვენი ხალხი, ბევრს ჰგონია, რომ კრემლსაც და თეთრ სახლსაც ვაშინგტონში ძირითადი საქმე აქვთ ის, რომ დღე და ღამე სხედან და საქართველოზე ფიქრობენ, რა გააკეთონ საქართველოსთვის ან პირიქით.

***– მე რუსეთზე ვლაპარაკობ.***

– მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით, ვინც კი იცნობს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ბიუროკრატიულ მანქანას, ყველას შესანიშნავად ესმის, რომ ძეხორციელს ვერ მონახავთ მთელ იმ მანქანაში, რამე ინტერესი ჰქონდეს ტატუნაშვილის ცხედრისადმი, ან მოკლეს თუ არ მოკლეს, არ აინტერესებთ.

***– მაშინ რას აბრალებთ იმას, ერთი თვის განმავლობაში ცხედარი რომ არ გადმოგვცეს?***

– ასეთია რუსული პოლიტიკური მანქანა. თავის მოსახლეობას არანაკლებად ექცევიან. ატომური სამხედრო წყალქვეშა ნავი, კურსკი, რომ ჩაიძირა, პუტინი ამ დროს ისვენებდა, თევზს იჭერდა წელს ზემოთ შიშველი და სამი დღე-ღამის განმავლობაში ვერავინ მოახსენა, ნავია ჩაძირული და დახმარება სჭირდებათო. ვერ გაბედეს. ამასობაში მეზღვაურები და ოფიცრები დაიღუპნენ. ტატუნაშვილი კი არა, კურსკზე ასზე მეტი კაცი იყო და ყველა დაიხოცა. ეს უნდა გვესმოდეს. ჩვენს ერს ასე რომ გვაინტერესებდა ჩვენი ცხედრის ბედი და ოჯახის მდგომარეობაში შევდიოდით, კრემლში საერთოდ არავის აინტერესებს, მათ შორის, თავისიანი. ასეთი სიტუაციაა დღევანდელ რუსეთში. რუსეთში დღეს ვინმე რომ იჯდეს, ფიქრობდეს, გეგმავდეს, თუნდაც ბოროტი განზრახვით, სხვაა. რუსული სტრუქტურები ჩვეულ რეჟიმში მუშაობენ. მე კიდევ გამიკვირდა, რომ ტატუნაშვილის ცხედარი ერთ თვეში დააბრუნეს, თორემ შეიძლება სამ თვეს არ გადმოეცათ. ასეა, რუსული მანქანის კბილანებში თუ რამე მოხვდება. ტანკები თბილისიდან 30 კილომეტრში დგას.

***– საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებაც არ აინტერესებთ?***

– დიახ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებაც არ აინტერესებთ, ისევე, როგორც მე და თქვენ – შარშანდელი თოვლის ბედი. პასუხიც შესაბამისი იყო. პასუხი არც არავის დონეზე გაკეთდა, უავტორო განცხადება იყო.

***– კვირიკაშვილის განცხადებას თქვენ თვითონ როგორ აფასებთ?***

– კვირიკაშვილის განცხადება უაღრესად დროული და სწორი გახლდათ. იმ ფონზე, როდესაც ქოცებს, როგორც წესი, ძალიან ეშინიათ ნაცების კრიტიკისა (რაც ხუთ წელზე მეტია დასტურდება), ვუერთდები ზურაბ აბაშიძეს, რომელმაც თქვა, რომ ეს ნამდვილად არის ერის წინაშე პასუხისმგებლობით აღსავსე სახელმწიფო მოღვაწის განცხადება. აგიხსნით, ასე რატომ არის. ერთი მხრივ, რუსეთისაგან ეს შეღავათი არ იქნება და შეიძლება ობივატელმა იკითხოს, თუ არაფერს ვიღებთ, რისთვის იყო საჭირო ეს განცხადებაო.

***– თქვენ ხშირად გითქვამთ, რომ მოლაპარაკებები აუცილებელია.***

– დიახ. უსუფაშვილი გაკვირვებული რომ დაბრუნდა ბრიუსელიდან, როცა პარლამენტის თავმჯდომარე იყო და მხრების აჩეჩით ლაპარაკობდა – ყველა დონეზე, სადაც კი შევხვდი ნატოს ადმინისტრაციას, ყველანი მეუბნებოდნენ, არავითარ შემთხვევაში რუსეთთან მოლაპარაკების ფორმატი არ გააუქმოთ, მოლაპარაკებები გააგრძელეთ, რადგან ეს თქვენ გჭირდებათო.

# სოხუმიდან ჩამოსული სტუდენტი: „ჩემს მომავალს თბილისში ვხედავ“

სტუდენტთა მობილობის პროცესში სოხუმელი სტუდენტებიც არიან ჩართული. მობილობით სტუდენტები სოხუმის უნივერსიტეტიდან თბილისის უმაღლეს სასწავლებლებშიც ირიცხებიან. მათ შორისაა 21 წლის გელა ხასაია.

გელა ხასაია სოხუმში 2017 წლის ბოლომდე ინგლისური ენის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, თუმცა მესამე კურსიდან სწავლის გაგრძელება თბილისში გადაწყვიტა.

## რატომ თბილისი?

სოხუმში ცხოვრების პერიოდში საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებულ სამშვიდობო პროექტებში ვმონაწილეობდი. ამ პროექტების ფარგლებში თბილისში წელიწადში 2-3-ჯერ ჩამოვდიოდი და მეტ-ნაკლებად კარგად ვიცნობდი აქაურ სიტუაციას.

რამდენიმე მიზეზი მქონდა, რატომაც სწავლა თბილისში გადავწყვიტე. ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ძალიან მინდოდა სოციოლოგიის მიმართულებით სწავლა. სოხუმში ასეთი ფაკულტეტი არ გვქონდა. ისევე როგორც არ არსებობს იქ სამედიცინო ფაკულტეტი.

საქართველოში სტუდენტთა მობილობის შესახებ ვიცოდი, თუმცა, არ ვიცოდი თუ მობილობით თბილისში გადმოსვლა ასეთი მარტივი იყო. მხოლოდ სოხუმის უნივერსიტეტიდან სწავლის დამადასტურებელი საბუთი დამჭირდა. ყველაფერი დანარჩენი თავადვე მოაგვარეს.

საბოლოოდ თბილისში სოხუმის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი გავხდი. ერთი კურსით უკან დამსვეს.

## განსხვავებები თბილისსა და სოხუმში ცხოვრებას შორის

აქ მეტი გასართობი სივრცეა. ღამის ცხოვრება აქტიურია. იქ კი საღამოს 9 საათის შემდეგ საზოგადოებრივი ტრანსპორტიც აღარ დადის. ან ტაქსით, ან ფეხით უნდა იმოძრაო. აქ ბევრი კლუბია. იქ უფრო რესტორნის ტიპის კაფეებია.

იქ არავინ საუბრობს ლგბტ თემის ადამიანებზე. ეს თემა ტაბუდადებულია. ამის გამო ეს ადამიანები თავს ძალიან შეზღუდულად გრძნობენ. ხმამაღლა იქ არავინ იტყვის, რომ გეია. არცერთი ორგანიზაცია თუ უფლებადამცველი არ გამოვა და მათ უფლებებს ღიად არ დაიცავს.

თუმცა მაინც სოხუმი ყოველთვის იყო და დარჩება ჩემს საყვარელ ქალაქად. მართალია, ბევრი გასართობი ადგილი არ არის, მაგრამ



მეგობრებთან ერთად ხშირად გავდიოდით ქალაქგარეთ, პიკნიკებზე და ძალიან კარგად ვერთობოდით. სხვა ტიპის გართობაა იქ. მარტოც რომ ვიყო, ზღვასთან მივდივარ და ვკითხულობ.

## სტერეოტიპები ერთმანეთზე

სოხუმში ხშირად მესმის ხოლმე, აი, საქართველოში ლგბტ თემა როგორი აქტუალურია და ამ ყველაფერს ევროპასთან ინტეგრაციას უკავშირებენ. ამბობენ ხოლმე, ეს გინდათ ქართველებს? რეალურად ძალიან მცირე ინფორმაციაა იმის შესახებ, თუ რა ხდება აქ. ინფორმაციას საქართველოს შესახებ ძირითადად რუსული მედიიდან იღებენ.

სიტყვის, ქცევის, ჩაცმულობის თავისუფლება აქ ბევრად მეტია. იქ ერთი განსხვავებული აზრიც უკვე პრობლემას გიქმნის. ვიცოდი, რომ ამ მხრივ, სხვა სიტუაცია იყო აქ, დიდწილად ამ თავისუფლებამაც განსაზღვრა ჩემი აქ ჩამოსვლა. ვერ ვიტყვი, რომ დიდი თავისუფლებაა აქაც, მაგრამ ბევრად უკეთესი მდგომარეობაა. სოხუმში თითქმის ყველა ყველას იცნობს. აქ არ ვიცნობ ადამიანებს და უფრო თავისუფლად ვარ.

არც აქ არსებობს სწორი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება იქ. როცა ჩამოვედი, გარშემო ისეთ კითხვებს სვამდნენ, ძალიან მიკვირდა. მაგალითად, ლექტორებიც და სტუდენტებიც ფიქრობდნენ, რომ იქ უნივერსიტეტში სწავლის დონე ძალიან დაბალია.

ეს დამოკიდებულია ფაკულტეტებზე, თუმცა, რომ ვადარებ, მაინც არ ვფიქრობ, რომ სწავლის ხარისხით ჩამოუვარდება იქაური უნივერსიტეტი აქაურ, სოხუმის უნივერსიტეტს, სადაც ვსწავლობ. რა თქმა უნდა, არის აქ უფრო რეიტინგული უმაღლესი სასწავლებლებიც, სადაც სავარაუდოდ, სხვა მდგომარეობაა.

ძალიან მწყინს, როცა აქ ამბობენ, რომ იქ ყველაფერი გაპარტახებულია და არანაირი ინფრასტრუქტურა არ არის. ხშირად ამის დასადასტურებლად ვიზუალურ მასალასაც გვაჩვენებენ. ეს ასე არ არის. ეს ხომ იგივეა, რომ ძველი თბილისისა და ცენტრალური თბილისის ფოტოების ნაცვლად ვინმეს მაგალითად სამგორის რაიონის ფოტოები აჩვენო. რეალურად, სოხუმში ბევრი რამ შენდება, კაფეები, მაღაზიები.

ახალი ათონიც ძალიან ტურისტული და მოწესრიგებულია, რასაც ვერ ვიტყვით ოჩამჩირესა და ტყვარჩელზე, რომლებიც მკვდარი ქალაქებია.

## ჩემი სოხუმელი მეგობრები

ჩემი სოხუმელი მეგობრები ჩამოდიან ხოლმე აქ. მე მათ საინტერესო ადგილებს ვაჩვენებ. ძირითადად გასართობად და ექსკურსიებზე ჩამოდიან. ზაფხულში კიდევ აპირებენ, სვანეთი აინტერესებთ ძალიან. აქ ჩამოსვლა საკმაოდ მარტივი პროცედურაა მათთვის, თუმცა ამას არ ასაჯაროებენ.

## რას ფიქრობენ აფხაზი ახალგაზრდები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე

რა თქმა უნდა, ისინი არ აღიარებენ აფხაზეთს საქართველოს ნაწილად, თუმცა უნდათ მიმოსვლა, მეგობრობა. სხვანაირად ფიქრობს დღეს ახალი თაობა იქ. უფროსი თაობისგან განსხვავებით, ნაკლებად აგრესიულები არიან ყოველივე ქართულის მიმართ. პირიქით, ძალიან აინტერესებთ აქაური ამბები და ღირსშესანიშნაობები.

ხშირად მეკითხებოდნენ პოლიტიკაზე, „მართლა ჩვენი მიწა სურთ ქართველებს?“ უჩნდებათ შეკითხვები, თუ რატომ უშლის საქართველო მათ ხელს საზღვარგარეთ სწავლაში. რატომ ვერ მიდიან საზღვარგარეთ და რატომ ეუბნებიან საელჩოები მათ, რომ ჯერ თბილისში ჩავიდნენ. ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე ამ საკითხებზე, თუმცა, არაფერს ვუმტკიცებთ ერთმანეთს. მე მესმის კიდეც მათი. პირადად ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, აფხაზეთს აფხაზეთი ერქმევა თუ საქართველო. მთავარია ჩვენს შორის მშვიდობა იყოს.

ზოგადად კი ვფიქრობ, რომ რაც მეტი უკეთესი გაკეთდება ამ ქვეყანაში, მით მეტად დაინტერესდებიან აფხაზებიც.

## განათლების მიღების შესაძლებლობა სოხუმში

თერთმეტი კლასის დასრულების შემდეგ, ერთიანი ეროვნული გამოცდებისგან განსხვავებით, გამოცდები იქ ფაკულტეტების შესაბამისად ტარდება, ზოგან მხოლოდ გასაუბრებაც საკმარისია. პირადად მე ინგლისური ენის ფილოლოგიაზე აფხაზეთის ისტორიისა და რუსული ენის ჩაბარება მომიხდა.

კურსზე სულ 30 სტუდენტი ვიყავით. ჩვენ შორის აფხაზური ენა მხოლოდ 5-6-მა სტუდენტმა თუ იცოდა. სწავლება ძირითადად რუსულ ენაზეა. აფხაზური ენა კვირაში მხოლოდ ერთხელ გვიტარდებოდა.

მაგისტრატურაზე სასწავლებლად თითქმის ყველა რუსეთში მიდის. როგორც მახსოვს, სოხუმში მხოლოდ ორ ფაკულტეტს აქვს მაგისტრატურა.

სოხუმში მხოლოდ ერთი უნივერსიტეტია და იქ 4.000-მდე სტუდენტი სწავლობს. დანარჩენი კოლეჯებია. სწავლის გადასახადი უნივერსიტეტში წელიწადში დაახლოებით, 45 ათასი რუბლია (2000 ლარამდე). თუმცა, მე გადასახადის გადახდა არ მიწევდა, რადგან გალის კვოტით ჩავირიცხე. გალში სკოლაში დაახლოებით ათი წელი ვსწავლობდი.

უნივერსიტეტში ჯგუფში მხოლოდ ორი ქართველი ვიყავით და ამას ხმამაღლა ვამბობდი. არ მახსოვს, ამის გამო ვინმეს პრობლემა შეექმნას ჩვენთვის. ზოგჯერ ლექტორები მეწინააღმდეგებოდნენ, რომ ჩემი გვარი რეალურად აფხაზურია და მეც აფხაზი ვარ. როდესაც აქეთ გადმოვდიოდი, ყველას ძალიან დასწყდა გული და ამას ღიად გამოხატავდნენ.

## ოჯახი

ჩემი ოჯახი აფხაზეთში ცხოვრობს – დედა, მამა და ძმა. სახლში მეგრულად და რუსულად ვსაუბრობდით. აქ რომ ჩამოვედი, ქართულად საუბრის კომპლექსი მქონდა და, მგონი, დავძლიე უკვე.

## მომავალი

ჩემს მომავალს თბილისში ვხედავ.

**ნეტგაზეთი**

# „ბარნოვების ღვინის მარანმა“ ვაზის ახალი ჯიშები გააცოცხლა



„ბარნოვების ღვინის მარანმა“ ქართლის სოფელ წედისში ახალი ვენახები გააშენა, სადაც, გარდა უკვე ცნობილი ჯიშებისა, წარმოდგენილია ისეთი მივიწყებული და იშვიათი ჯიშებიც, რომლებიც აქამდე არც პოპულარული იყო და არც გავრცელებული. როგორც მარნის წარმომადგენელმა ანდრო ბარნოვმა „კომერსანტთან“ საუბარში აღნიშნა, ვენახების გაშენება მცირე ბიზნესში არსებული პრობლემების გამო გადაწყვიტა.

– დღეს ხარისხიანი ღვინის მოყვანისას ადამიანი არაერთ პრობლემას აწყდება. გადავწყვიტეთ საკუთარი ვენახების გაშენება, რათა სხვებსაც დავეხმაროთ და საკუთარი ცოდნა გავუზიაროთ. რაც შეეხება უშუალოდ ვენახებს, ამჯერად 12 სახეობის ჯიშია წარმოდგენილი და მათი უმეტესობა საზოგადოების ფართო ფენისთვის ცნობილიც კი არ არის. მაგალითად, შაბა, ბუზა, ჯვარი და ა.შ. ვენახი დაახლოებით 4-5 ჰექტარზეა გაშენებული და პირველი შედეგი ალბათ 3-4 წელში გვექნება. ასევე გვაქვს პატარა ვენახიც, სადაც 30-35 ჯიშია წარმოდგენილი, – განმარტავს ბარნოვი.

მცირე ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით ანდრო ბარნოვი რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, ყველაზე დიდი პოტენციალი სწორედ აღნიშნულ მიმართულებაშია. განვითარებულ ქვეყნებში მსხვილი ინდუსტრიის წილი მშპ-ში მხოლოდ 10-15%-ია, დანარჩენი კი მცირე ბიზნესშია. როგორც ბარნოვმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, საქართველოში არსებული ვითარება საპირისპიროა.

– საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებას რამდენიმე ფაქტორი უშლის ხელს. თუმცა სანამ განვაზოგადებ, ჩვენი საქმიანობის მაგალითზე გეტყვით, რომ მცირე მარნების მიმართულებაში წინსვლა ზოგადად არის, მაგრამ აქ დაბრკოლებაა ჯიშური მრავალფეროვნება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით მსოფლიოში პირველები ვართ, იმავე ქართლში 100-ზე მეტი ენდემური ჯიშის ყურძენია ცნობილი, მოხმარებაში კი მხოლოდ 3-4-ია. ამ ყველაფერს მივყავართ მოსახლეობის ინფორმირებულობისა და სამეწარმეო უნარების ძალიან დაბალ დონესთან. ქვეყანაში არ ვითარდება პროფესიული განათლება და მცირე ბიზნესი რანაირად უნდა განვითარდეს, – განმარტავს ბარნოვი.

მისივე თქმით, ღვინის ბიზნესის შემთხვევაში ასევე სირთულეს წარმოადგენს, საძირეები, ანუ სამყნობი მასალის დეფიციტურობა, რაც საბოლოოდ უშუალოდ ღვინის ხარისხზეც უარყოფითად აისახება.

– ფაქტობრივად, ქვეყანაში არავინაა ისეთი, ამ მეურნეობას რომ მისდევდეს, ამიტომაც მასალა ბაზარზე არ არის და ეს აძვირებს მთლიან სამუშაო პროცესსაც. ძირითადად საქართველოში ვაზი იმყნობა მიტოვებულ ვენახებში აჭრილი საძირეებით. არის მხოლოდ ერთი-ორი კომპანია, რომელსაც ისევ თავისთვის შემოაქვს. ცუდად მუშაობს საგურამოს სანერგეც, რადგან იქიდან კვირტის სამყნობად წამოღება რატომღაც შეუძლებელია, – განმარტავს ბარნოვი.

როგორც „ბარნოვების საოჯახო მარნის“ წარმომადგენელმა „კომერსანტს“ განუმარტა, მცირე ბიზნესის მიმართულებით ოჯახს არაერთი პროექტი აქვს დაგეგმილი ატენის ხეობაში. მისივე თქმით, აღნიშნული ტერიტორია ღვინის გარდა სხვა მხრივაც საინტერესოა.

– ძირითადი მიმზიდველი მაგნიტი, რაშიც ფული დაიხარჯება, არის ყველაფერი, რაც ენდემური და უნიკალურია. ღვინის გარდა, მაგალითად, ქართლში შეიძლება განვითარდეს კულინარიული მიმართულება; გვაქვს ადგილობრივი ლუდი; პერსპექტივები აქვს მეთუნეობას და ა.შ. მთავარია ზოგადად მცირე ბიზნესს ჰქონდეს ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან, – აღნიშნავს ბარნოვი.

# ჯანდაცვის სამინისტროდან ტაქსისტობამდე — 26 წლის მერიკო კობერიძის ისტორია



„მხოლოდ ტაქსისტობით ოჯახის რჩენა ძალიან რთულია“, – ამის შესახებ „კომერსანტს“ ახალგაზრდა ტაქსის მძღოლმა განუცხადა.

26 წლის მერიკო კობერიძემ ტაქსისტობა თებერვალში გადაწყვიტა და მას შემდეგ დედაქალაქის მოსახლეობას ერთგულად ემსახურება. მერიკომ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და პროფესიით ფსიქოლოგია. ის სამ ენას – ინგლისურს, რუსულსა და პოლონურს ფლობს. ამჟამად კობერიძე ჯანდაცვის სამინისტროში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების თანამშრომელია, გარდა ამისა მას მცირე ბიზნესი მეორადი სამოსის მაღაზია „მეორეული“ აქვს. როგორც მან „კომერსანტთან“ საუბრისას განაცხადა, ტაქსის მძღოლობა კიდევ ერთი დამატებითი პოფესიაა.

თბილისის ქუჩებში მერიკოს ხილვა და მისი ტაქსით მგზავრობა საღამოს 6-დან 9 საათამდე შეგიძლიათ.

– მართვის პროცესი მომწონს და ყოველთვის მიზეზებს ვეძებდი, რომ საჭესთან ვყოფილიყავი, შემდგომ კი ტაქსისტობის იდეა გამიჩნდა და ჩემს ახალ საქმიანობად ვაქციე. კერძო კომპანიაში არ ვარ, დამოუკიდებელი ტაქსისტი ვარ. როდესაც რეგულაცია შემოვა, რეგისტრაციას აუცილებლად გავივლი... რა თქმა უნდა, გოგო ტაქსის მძღოლი ყველას უკვირს და მგზავრებს საკმაოდ სახალისო რეაქციები აქვთ. დღემდე თანხის დატოვება დიდ უხერხულობას მიქმნის, – განუცხადა „კომერსანტს“ მერიკო კობერიძემ.

როგორც კობერიძე აღნიშნავს, რეალურად ტაქსისტის ცხოვრება რთულია, რადგან ამ შემოსავლით ოჯახის რჩენა თითქმის შეუძლებელია.

– ჩემთვის ეს შემოსავალი ერთადერთი არ არის, ამიტომ მასზე დამოკიდებული არ ვარ. თუმცა იმ ტაქსის მძღოლებისთვის ვინც ოჯახს ამ პროფესიით არჩენს საკმაოდ რთულია. ზოგიერთს ბანკში ვალი აქვს, აღარ ვსაუბრობ გადასახადების გადახდაზე და კვებისთვის გამოყოფილ თანხებზე. მათთვის თითოეული წუთი და მგზავრი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, – განმარტა კობერიძემ.

26 წლის ტაქსისტს მიაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის რეგიონებისა და სოფლების განვითარებაა საჭირო. ეს კი ქვეყანაში არსებულ სიდუხჭირეს შეცვლის. ხოლო ის ტაქსის მძღოლები, ვისაც დიპლომი საკუთარი რეალური პროფესიით აქვთ აღებული სწორედ ამ საქმიანობით დაკავდებიან.

„კომერსანტის“ კითხვაზე, როგორ უნდა გამოსწორდეს ქვეყანაში ტაქსით მომსახურების სერვისი? კობერიძე აცხადებს, რომ კომპანიებმა მომსახურების სერვისის ჭრილში მძღოლები უნდა გადაამზადონ. მათ ისეთი პიროვნული თვისებები უნდა გამოიმუშაონ, რომ მგზავრები კმაყოფილი დარჩნენ, – აღნიშნა კობერიძემ.

ახალგაზრდა ტაქსის მძღოლი სამომავლოდ მხოლოდ ქალბატონებით დაკომპლექტებული ტაქსის კომპანიის შექმნასაც არ გამორიცხავს.

# ბაზარზე საკრედიტო ბარათების რაოდენობა 47%-ით გაიზარდა

საქართველოში ზრდასრული ადამიანების უდიდეს უმრავლესობას საფინანსო სტრუქტურების ვალი აქვს, აქედან ყოველი მესამე კი საკრედიტო ბარათის მფლობელია.

მიუხედავად ასეთი პოპულარობისა, ამ ბარათის მიმართ პრეტენზია ყველაზე მზარდია. მხოლოდ 2017 წელს კომერციულ ბანკებში საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებით 426 საჩივარი შევიდა, რაც საჩივრების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 12%-ს შეადგენს.

მას შემდეგ, რაც საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა ბაზარზე საკრედიტო ბარათები გამოიტანეს, ამ პროდუქტზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებით, 2018 წლის თებერვალში საქართველოში სულ 991 912 საკრედიტო ბარათი იყო მოქმედი, რაც თითქმის 319 ათასით, 47,3%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2017 წლის თებერვალში ბაზარზე სულ 673 081 საკრედიტო ბარათი იყო მოქმედი.

საკრედიტო ბარათების ზრდა კი იმაზე მიუთითებს, რომ ეს პროდუქტი მოსახლეობაში პოპულარობას დღემდე არ კარგავს და მას სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი იყენებს.

საკრედიტო ბარათი არის ორი საბანკო პროდუქტის – პლასტიკური ბარათისა და სამომხმარებლო სესხის სინთეზი. ეს არის პლასტიკური ბარათი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს საბანკო კრედიტით შეიძინოს საქონელი ან მომსახურება სავაჭრო ობიექტში, ინტერნეტით და ან გაანაღდოს კრედიტის თანხა. ბარათს აქვს საკრედიტო ლიმიტი, ანუ კრედიტის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად, მომხმარებლის საკრედიტო ისტორიისა და მისი შემოსავლების გათვალისწინებით. შეიძლება საკრედიტო ლიმიტის გაზრდაც.




მომხმარებელს შეუძლია აითვისოს თანხა მისთვის სასურველ დროს და ნებისმიერი პერიოდულობით საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში, შესაბამისად, საკრედიტო ბარათს არ აქვს დაფარვის სტანდარტული გრაფიკი.

უმეტეს საკრედიტო ბარათზე მოქმედებს ე.წ. საშეღავათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში ათვისებულ თანხას არ ერიცხება პროცენტი. თუ მომხმარებელმა სრულად ვერ დაფარა ათვისებული თანხა, საშეღავათო პერიოდის განმავლობაში, ის ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდების ბოლოს დაფაროს ათვისებული თანხის გარკვეული წილი და დარიცხული პროცენტი.

ყველა ბანკს საკრედიტო ბარათებზე თითქმის ერთნაირი პირობები აქვს. საშუალოდ განაღდების საკომისიო 3-4%-მდე მერყეობს (თუმცა არის გამონაკლისიც), საშეღავათო პერიოდი იდენტურია – 55 დღე, წლიური საპროცენტო განაკვეთი 18%-დან 36%-მდე მერყეობს (ეს თანხის განაღდების მეთოდზეა დამოკიდებული). საკრედიტო ბარათების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50%-მდე აღწევს. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელმა სესხი შესაბამის პერიოდში ვერ დაფარა და დაარღვია გადახდის გრაფიკი, მას ეკისრება ჯარიმა, რომელმაც, შესაძლოა, 200%-საც კი გადააჭარბოს.

უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო ბარათები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით ძალიან გავრცელებული და პოპულარულია, მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათი პირობები მოქნილი და მაქსიმალურად მორგებულია მომხმარებელზე. დაგროვების სისტემაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბევრად გამართული და ლოიალურია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საზღვარგარეთ ამ ბარათების რეალური დანიშნულება არის „შოპინგი“. იშვიათად თუ ვნახავთ ადამიანს, რომელსაც საკრედიტო ბარათიდან ნაღდი ფული გამოაქვს. მომხმარებელთა დაახლოებით 90% ორიენტირებულია უნაღდო ანგარიშსწორებაზე.

საქართველოში კი სიტუაცია საკმაოდ განსხვავებულია. აქ საკრედიტო ბარათს მომხმარებლის დიდი ნაწილი ნაღდი ფულის მისაღებად იყენებს, რაც დარიცხულ პროცენტებს უფრო ზრდის. ამიტომ ხალხს ასეთი ტიპის ბარათისადმი პრეტენზია მუდმივად უჩნდება. ამაზე მიუთითებს ეროვნული ბანკის მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც საკრედიტო ბარათები ყოველთვის კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული საჩივრების ტოპსამეულშია.

# როდის შევა „ლიდერფუდი“ რითეილის ბაზარზე?

ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ლიდერფუდი“ კონკურენტებისგან განსხვავებულ, საიმიჯო მაღაზიებს გახსნის.




როგორც „ბიზნეს-პრესნიუსს“ კომპანიის მარკეტინგის სპეციალისტმა ხვიჩა ჯღუთაშვილმა განუცხადა, ზუსტი თარილი, თუ როდის შევა „ლიდერფუდი“ რითეილის ბაზარზე, გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ეს 2018 წელს მოხდება.

– პირველი მაღაზია აუცილებლად თბილისში გაიხსნება. შემდეგ უკვე იქნება მცხეთაში, ჩვენს ახალ ქარხანასთან ახლოს, რომელიც რამდენიმე თვის წინ გაიხსნა. რეგიონებს რაც შეეხება, ჯერჯერობით მაღაზიების რეგიონებში გახსნა არ იგეგმება, თუმცა შემდგომში ეს შესაძლებელი იქნება. ჩვენ კლასიკური სუპერმარკეტებს კი არა, რამდენიმე საიმიჯო მაღაზიას გავხსნით, რომელიც კონკურენტების მიერ შემოთავაზებული მაღაზიებისგან განსხვავებული იქნება. საფირმო მაღაზიებს დამატებით ბევრი სხვა ფუნქციაც ექნებათ, – აცხადებს ჯღუთაშვილი.

მისივე თქმით, ახალი საწარმოს გახსნის შემდეგ „ლიდერფუდი“ ბაზრის 50%-ის ათვისებასა და ასევე ასორტიმენტის გაზრდას აპირებს.

– საწარმოს გახსნამდე ჩვენ ბაზრის 30%-ს ვიკავებდით, თუმცა უკვე ახალი საწარმოს პირობებში ვაპირებთ, რომ 50%-მდე ავიდეთ. ასევე ჩვენს უახლოეს გეგმებში შედის ასორტიმენტის გაზრდა. არსებული ასორტიმენტის ფორმა და წონა მუდმივად იცვლება, თუმცა უკვე ახალ პროდუქტს უახლოეს მომავალში დავამატებთ, – განმარტავს კომპანიის მარკეტინგის სპეციალისტი.

ხორცპროდუქტების კომპანია „ლიდერფუდი“ 2009 წლიდან ოპერირებს, 2017 წლის შემოდგომიდან კი წარმოება ახალ საწარმოში განაგრძო, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს პროექტ „აწარმოე საქართველოს“ თანაინვესტირებით განხორციელდა. საწარმოს სრული ფართი შეადგენს 1 ჰექტარს და მდებარეობს მცხეთაში. „ლიდერფუდი“ დღეისათვის 100-მდე დასახელების ხორცპროდუქტს აწარმოებს.

# პრემიერმა სასტუმრო „ახაშენი — ღვინის კურორტი“ გახსნა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი სასტუმრო – „ახაშენი – ღვინის კურორტი“ გახსნა, რომელიც კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში მდებარეობს.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, Akhasheni Wine Resort სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“,DCFTA -სა (ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პროექტი) და „საქართველოს ბანკის“ თანადაფინანსებით აშენდა.

სასტუმრო სრულად არის ადაპტირებული შშმ პირთათვის. ამასთან, „ახაშენი – ღვინის კურორტი“ ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებში ქართული ღვინის უძველეს, 8.000-წლოვან ისტორიას გაუწევს პოპულარიზაციას.

პროექტი KTW-ჯგუფს („კახური ტრადიციული მეღვინეობა“) ეკუთვნის და მისი საინვესტიციო ღირებულება 7,5 მლნ ლარია.

# ზაზა სარალიძე: „ჩემი შვილი მისმა მეგობრებმა გაყიდეს. მინიმუმ, ორი მკვლელი ახლა ქუჩაში დადის“

– ჩემი შვილი მისმა მეგობრებმა გაყიდეს. მინიმუმ, ორი მკვლელი ახლა ქუჩაში დადის. კანონით თუ კანონის გარეშე მე მაინც ვაგებინებ პასუხს ყველას, ვინც შვილი მომიკლა, – ეს განცხადება 51-ე სკოლის მოკლული მოსწავლის მამამ, ზაზა სარალიძემ, გააკეთა.

ჭეშმარიტების დადგენის იმედი მოკლული დავით სალარიძის მამამ პირდაპირი მოწმეების დაკითხვის შემდეგ დაკარგა. ზაზა სარალიძე ამბობს, რომ არასრულწლოვანი მოწმეების მიერ მოსამართლისთვის დამალული ფაქტების გამო, მისი შვილის რეალური მკვლელები დაუსჯელები დარჩებიან.

დაზარალებულმა საკუთარი გამოძიებით დაადგინა, რომ მკვლელობაში კიდევ ორი პირი მონაწილეობდა, მათგან ერთი არასრულწლოვანია. არასრულწლოვანთა კოდექსის დაწესებული შეზღუდვების გამო, ვინაობას თავად ვერ ასახელებს, თუმცა, ჩვენს შეკითხვაზე პასუხად არ უარყოფს, რომ მისი ეჭვების ადრესატი დანაშაულის დაფარვისთვის ბრალდებული თენგიზ კალანდიას შვილია.





მოზარდების ჩვენებების შინაარსის რადიკალური ცვლილება საეჭვოა ერთ-ერთი ბრალდებულის დედისთვის.

ნინო ფერაძე არ გამორიცხავს, რომ არასრულწლოვნებზე ზემოქმედების მიზანი რეალური მკვლელების დაფარვაა. ბრალდებულის დედა შიშობს, რომ არსებითი განხილვის ასეთი სცენარით გაგრძელების შემთხვევაში, დავით სარალიძის და ლევან დადუნაშვილის მკვლელობისთვის მთელ პასუხისმგებლობას მის შვილს და მეორე არასრულწლოვან ბრალდებულს დააკისრებენ.

ორივე ოჯახისთვის საეჭვოა ექსპერტიზის დასკვნის დაგვიანება. ორი არასრულწლოვნის მკვლელობიდან თითქმის 4 თვეა გასული, თუმცა, გამოძიებას ჯერ კიდევ არა აქვს ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი, რომელმაც ბევრ შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი.

* * *

– არცერთ მოწმეს, სასამართლოში აქამდე დაკითხულ მოწმეს არსებითად შეცვლილი ინფორმაცია სასამართლოსთვის არ მოუწოდებია, – ეს განცხადება თბილისის პროკურორმა, მალხაზ კაპანაძემ, შაბათის კურიერისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, მოზარდების მკვლელობის საქმეში ბრალდების მხარე მოწმეებზე არ მანიპულირებს და მათ ჩვენება არ შეუცვლიათ.

– ჩვენ არ ვმანიპულირებთ მოწმეებზე, არც გამოძიებაში, არც სასამართლოში. მოწმე თავად წყვეტს, რა ინფორმაცია მიაწოდოს გამოძიებას, რა ინფორმაცია მიაწოდოს სასამართლოს, – განაცხადა პროკურორმა.

პროკურორის განცხადებით, საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით დასტურდება, რომ დანა აღნიშნულ შემთხვევის დროს მხოლოდ და მხოლოდ იმ ორმა პირმა გამოიყენა, ვინც დღეს ბრალდებულები არიან.

მალხაზ კაპანაძის თქმით, გამოძიება მიმდინარეობს მოწმეზე შესაძლო ზემოქმედების ფაქტზე, რის ფარგლებშიც დაკითხულია ჩხუბში მონაწილე მოზარდების ბაბუა, ბორის კაკუბავა.

შეგახსენებთ, რომ მან კურიერთან მოსწავლეებს შორის არსებულ კონფლიქტზე ისაუბრა, რის შემდეგაც, როგორც მალხაზ კაპანაძე ამბობს, ის სამართალდამცავებმა დაკითხეს.

თბილისის პროკურორის თქმით, ხშირად ტრაგედიით მანიპულირება ხდება.

– არ არსებობს არგუმენტი და მტკიცებულება, რომ საქმეს რამე დააკლდა. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ტრაგედიით, დაზარალებულებით, მათი მდგომარეობით სარგებლობას სხვადასხვა ადამიანის მიერ და სხვადასხვა მიზნისთვის, – განაცხადა მალხაზ კაპანაძემ.

# „ლეოგრანდის“ საქმეზე დაკავებული გიორგი მიქელაძე ხანძრის დროს თურქეთში იყო

## თეონა ფუტკარაძე მეუღლის გათავისუფლებას ითხოვს



ბათუმში სასტუმრო „ლეოგრანდის“ საქმეზე დაკავებული გიორგი მიქელაძის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ გიორგი მიქელაძე უდანაშაულოა. მათი ინფორმაციით, 24 ნოემბერს, როდესაც სასტუმროში ხანძარი გაჩნდა, გიორგი მიქელაძე თურქეთში სასტუმრო „ლეოგრანდის“ საქმეზე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა.

როგორც დაკავებულის მეუღლე თეონა ფუტკარაძე ამბობს, ოჯახის წევრები და ახლობლები გიორგი მიქელაძეს დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სასტუმრო „ლეოგრანდს“ ფუნქციონირების საშუალებას არ მისცემენ.

– გიორგი ბოლო 4 წლის განმავლობაში მუშაობდა საწყობში, არ იყო პასუხისმგებელი იმაზე, რასაც ედავებიან. ხანძრის დროს „ლეოგრანდის“ საქმეზე თურქეთში იმყოფებოდა. ვითხოვთ მის გათავისუფლებას, – განაცხადა დაკავებულის მეუღლე თეონა ფუტკარაძემ.

როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოთხთვიანი გამოძიების შედეგად სასამართლოს განჩინების საფუძველზე სასტუმრო „ლეოგრანდში“ სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტზე ბათუმში, აღნიშნულ სასტუმროში მენეჯერულ პოზიციაზე მომუშავე 2 პირი: თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული ფ.ი. და საქართველოს მოქალაქე, 1978 წელს დაბადებული გ.მ. დააკავეს.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ჯელალ ქიქავა ცემეს – „თავდამსხმელები დეპუტატმა მუხრან ვახტანგაძემ გამომიგზავნა“



არასამთავრობო ორგანიზაცია სამართლიანობა და დემოკრატიის პრინციპების ხელმძღვანელი, ჯელალ ქიქავა, პარლამენტის წევრს, მოჭიდავე მუხრან ვახტანგაძეს თავდასხმის ორგანიზებაში ადანაშაულებს. ჯელალ ქიქავას განცხადებით, მას თავს გვიან ღამით რამდენიმე სპორტსმენი დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

ქიქავა დარწმუნებულია, რომ თავდამსხმელები მუხრან ვახტანგაძემ გამოუგზავნა. მისი თქმით, დაპირისპირება იმ დღიდან იღებს სათავეს, როდესაც ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში ჯელალ ქიქავამ დეპუტატს „ზონდერი“ უწოდა.

# გორში ქალმა თავი ჩამოიხრჩო




გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში 35 წლამდე ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ახალგაზრდა ქალმა თავი ჩამოიხრჩო. სუიციდის გამომწვევი მიზეზი ჯერ უცნობია.

მომხდართან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გორის მუნიციპალიტეტის აღნიშნულ სოფელში, ადგილობრივების თქმით, სუიციდის შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია.

# იამზე ქავთარაძე: „ნუგზარ კახიძის მერე შეიძლება მე მომკლან“

## რა ხდება ვარკეთილის ბაზრობაზე



ვარკეთილის ბაზრობის მეწილე, იამზე ქავთარაძე, ამტკიცებს, რომ ბიზნესმენ ნუგზარ კახიძის შეკვეთილი მკვლელობის შემდეგ მსხვერპლი ის გახდება. მას წლებია, ბიზნესპარტნიორებთან დავა აქვს. ქავთარაძესა და აქციების სხვა მცირე ნაწილის მფლობელებს ეჭვი აქვთ, რომ მათ კუთვნილ მოგებას მსხვილი მეწილეები და ბაზრობის ადმინისტრაცია ითვისებენ.

2013 წლის შემდეგ „ვარკეთილი 96“-ის მეწილეებს ფინანსურ დოკუმენტაციასთან წვდომა დაუბლოკეს. თანხის მითვისებაში ისინი პირდაპირ ბაზრის ყოფილ დირექტორ ოთარ პირველს ადანაშაულებენ, რომელიც ამ საქმეზე ერთი წლის წინ დააპატიმრეს და გაათავისუფლეს.

„ვარკეთილი 96“-ის მეწილეები ამბობენ, რომ მათ, მოკლული ბიზნესმენის ნუგზარ კახიძის მსგავსად, დაპირისპირება აქვთ ბაზრის ყოფილ დირექტორ ოთარ პირველთან.

უკვე მესამე დღეა, პოლიცია 68 წლის ბიზნესმენის, ვარკეთილის ბაზრის ერთ-ერთი მფლობელის, ნუგზარ კახიძის მკვლელს ეძებს. მკვლელობის ვერსია, რომელზეც გამოძიება მუშაობს, ბიზნესწილების გამო დაწყებული დავაა.

მოკლული ბიზნესმენის ოჯახის სახელით გუშინ განცხადება ადვოკატმა პაატა სალიამ გააკეთა. მან დაადასტურა, რომ მოკლულ კახიძეს ბიზნესპარტნიორებთან დავა ჰქონდა.

„კურიერს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაუდასტურეს, რომ ვარკეთილის ბაზრობის მფლობელების შესაძლო ფინანსური მაქინაციების შესახებ სისხლის სამართლის საქმის ძიება მიმდინარეობდა. უწყების ცნობით, სისხლის სამართლის ორ საქმეში ბაზრობის ყოფილი დირექტორი ოთარ პირველი ფიგურირებს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.**
**მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# რატომ არის აშშ-ში განხორციელებული საკადრო ცვლილებები ხელსაყრელი კრემლისათვის

## ევროკავშირის ლიდერები დაძაბულობის ესკალაციას პროგნოზირებენ

მარიამ მჭედლიშვილი

გერმანიის ფედერალური კანცლერი ანგელა მერკელი და საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ისევ გვერდით უდგანან დიდ ბრიტანეთს რუსეთთან დაწყებულ დიპლომატიურ სკანდალში. გაერთიანებული სამეფოს შემდეგ რუსეთიდან თავისი ელჩი გაიწვია ევროკავშირმა. მოსალოდნელია, რომ ამასვე გააკეთებენ გერმანია, საფრანგეთი, ლატვია და სხვა სახელმწიფოები. ამის მზადყოფნა ვაშინგტონმაც გამოთქვა.



ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე, ბულგარეთის პრემიერი ბოიკო ბორისოვი, შექმნილ სიტუაციას ურთულესს უწოდებს.

მისი შეფასებით, ახლა ყველაფერი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ცივი ომის დროს, როცა გარკვეული წესები მოქმედებდა. იგი უახლოეს დღეებში ვითარების ესკალაციას პროგნოზირებს.

4 მარტის შემდეგ ვითარება ისედაც დაძაბულია. ამ დღეს ბრიტანეთის ქალაქ სოლსბერიში ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებით შვილთან ერთად მოწამლეს რუსეთის სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი, პოლკოვნიკი სერგეი სკრიპალი, რომელიც ბრიტანეთის დაზვერვაზე მუშაობდა. სკრიპალი ამის გამო სასჯელს იხდიდა. 2010 წელს იგი პუტინმა შეიწყალა. სკრიპალი გაიცვალა სხვა ჯაშუშებზე. მას შემდეგ ის ბრიტანეთში დაბინავდა.

ქიმიურ თავდასხმაში დასავლეთმა რუსეთი დაადანაშაულა.

ბრიტანეთის ყოფილი ელჩი რუსეთში, ენტონი ბრენონი, მხარს უჭერს ლონდონის მოქმედებებს მოსკოვის წინააღმდეგ. იგი ვარაუდობს, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის სოლსბერის ინციდენტის გამო მიმდინარე დაპირისპირება დიდხანს არ გასტანს. რამდენიმე თვის განმავლობაში რუსეთთან არ იქნება კონტაქტები უმაღლეს დონეზე, მაგრამ შემდეგ დასავლეთი იძულებული გახდება, დაელაპარაკოს რუსეთს.

რუსეთის საწინააღმდეგო სულისკვეთებას შეუერთდა ასევე აშშ, თუმცა ვაშინგტონმა ამის საწინააღმდეგო ნაბიჯებიც გადადგა – პრეზიდენტმა ტრამპმა ტელეფონით საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა პუტინს. ამით მან ბევრის გაღიზიანება გამოიწვია. თეთრი სახლის ლიდერი იმისთვისაც მზადაა, რომ შეხვდეს თავის რუს კოლეგას. ევროპელი ანალიტიკოსები ისევ საუბრობენ ტრამპის არათანმიმდევრულ პოლიტიკაზე.

ექსპერტების აზრით, აშშ-ში მომხდარი საკადრო ცვლილებები ხელსაყრელია კრემლისათვის. ეს გადაადგილებები გააუმჯობესებს ვაშინტონი-მოსკოვის ურთიერთობებს.

იგულისხმება სახელმწიფო მდივნის პოსტზე მაიკ პომპეოსა და უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლად ჯონ ბოლტონის დანიშვნა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორი პომპეო და გაეროში აშშ-ის ყოფილი წარმომადგენელი ბოლტონი კონსერვატორები და ქორები არიან. მიუხედავად ამისა, მიმომხილველები მათ დროს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებას არ მოელიან.

ირანის წინააღმდეგ განწყობილმა მაიკ პომპეომ უკვე განაცხადა, რომ აშშ-ისთვის სტრატეგიული საფრთხეა ჩინეთი და არა რუსეთი.

ბოლტონს გაეროში უხდებოდა რუსეთის წარმომადგენლებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა. იგი ქორად შეიძლება ჩაითვალოს ირანის, ჰესბოლას, ჰამასის, ალ-ქაიდასა და ისლამური სახელმწიფოს მიმართ.

ეს იმას ნიშნავს, რომ აშშ გააძლიერებს მუშაობას მათ წინააღმდეგ. პომპეო და ბოლტონი ტრამპის იმპულსურ ინსტინქტებს ამ მიმართულებით არ შეაკავებენ. ტერორიზმთან და ისლამიზმთან ბრძოლა დააახლოებს ვაშინგტონსა და მოსკოვს.

ექსპერტების აზრით, აშშ-სა და რუსეთს ისრაელიც გააერთიანებს. პომპეო და ბოლტონი ისრაელის თავგამოდებული მეგობრები არიან. პუტინს საუკეთესო ურთიერთობა აქვს ისრაელის პრემიერ ნეთანიაჰუსთან. ეს იმის მანიშნებელია, რომ მალე შეიქმნება ამერიკა-რუსეთ-ისრაელის სამკუთხედი.

# პოროშენკო: „რუსეთი კიევში ტერაქტებს გეგმავს!“



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში უკრაინის მთელ ტერიტორიაზე რუსული აგენტურის მკვეთრი გააქტიურებაა მოსალოდნელი. მზადდება დივერსიები და ტერაქტები, მათ შორის უკრაინის დედაქალაქ კიევშიც.

– რუსეთის მიზანი ჰიბრიდული ომის გაფართოება და მთელი უკრაინის ცეცხლის ალში გახვევაა! – თქვა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ აღნიშნა, რომ უკრაინის უშიშროების სამსახურმა უკანასკნელ ხანს ორი მასშტაბური ოპერაცია ჩაატარა. პოროშენკომ საგანგებოდ მიუთითა ნადეჟდა სავჩენკოზე, რომლის გამოყენებასაც მტერი გეგმავდა.

– კიევის ცენტრში ტერაქტი უნდა მოეწყოთ! უკრაინის პარლამენტის შენობისათვის ცეცხლი ნაღმმტყორცნებიდან უნდა გაეხსნათ, – ამბობს პოროშენკო.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთი ახალ ტერაქტებს გეგმავს. მათ შორის, განზრახულია კიევში ტერორისტული აქტების სერიის მოწყობა.

– ამიტომ განკარგულება გავეცი, რათა კონტრსადაზვერვო მუშაობა გააძლიერონ, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინის გენერალური შტაბის ყოფილი ხელმძღვანელის, გენერალ რომანენკოს აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთმა მთავარ სამიზნედ კიევი გაიხადა. აქ ფუნქციონირებს მთავრობა, პარლამენტი, აქ არის განთავსებული პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

გენერლის აზრით, არც ის არის შემთხვევითი, რომ რუსებმა სავჩენკოს გამოყენება ცადეს. რომანენკო ხაზს უსვამს, რომ ექსმფრინავი უდავოდ პატრიოტია, გააჩნია ნებისყოფა, მიზანსწრაფულობა, მედგარი ხასიათი, მაგრამ ინტელექტი არ აქვს.

ეს ჯერ კიდევ საფრენოსნო ინსტიტუტში სწავლისას გამოჩნდა, როცა ინსტრუქტორებთან სისტემატური კონფლიქტები ჰქონდა. ამის გამო გარიცხეს კიდეც, თუმცა შემდეგ აღადგინეს.

– სავჩენკო რუსულ ტყვეობაში მართლაც ვაჟკაცურად მოიქცა. შინაც დიდების შარავანდედით შემოსილი დაბრუნდა და ამან თავბრუ დაახვია, – ამბობს გენერალი.

რომანენკოს თქმით, ფსბ-მ სავჩენკო გულდასმით შეისწავლა, მისი ფსიქოლოგიური პორტრეტიც შეადგინა. ამის შემდეგ ქალს გამოცდილი მსტოვრები მიუგზავნეს. მათ სავჩენკოს შთააგონეს, რომ უკრაინის დახსნა ოლიგარქების ბატონობისგან მისი მისიაა, ეს კი მხოლოდ შეიარაღებული გადატრიალებით არის შესაძლებელი.

პატრიოტი, უშიშარი, მაგრამ არცთუ ჭკვიანი სავჩენკო ამას წამოეგო. თავისი განსაკუთრებული მისიის შესახებაც მან გულწრფელად დაიჯერა. რასაკვირველია, რუსებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ არავითარი გადატრიალება არ მოხდებოდა. მათთვის მთავარი ის იყო, რომ კიევში სისხლი დაღვრილიყო, დახოცილიყვნენ მშვიდობიანი მოქალაქენი. რუსებიც ევროპას განუცხადებდნენ, რომ ერთიანი უკრაინის არსებობა შეუძლებელია, რადგან ეს განუწყვეტელ ომებსა და ტერაქტებს ნიშნავს.

პუტინის მოსაზრება უკრაინის დაშლასთან დაკავშირებით დონბასელ სეპარატისტთა ლიდერმა, ზახარჩენკომ, გაახმოვანა. დონეცკში გამართულ ბრიფინგზე მან განაცხადა:.

– ან აშშ რუსეთთან ერთად უკრაინის მშვიდობიანად დაშლას შეუწყობს ხელს, ან ეს ომით მოხდება. ამ შემთხვევაში ცეცხლი არა მხოლოდ მთელ უკრაინას, არამედ ევროპასაც მოედება, – თქვა სეპარატისტების ლიდერმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა, ტრამპმა, უკრაინას 620 მილიონი დოლარი გამოუყო. ეს თანხა მთლიანად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას მოხმარდება.

დემოკრატიული სამყარო კიევს სოლიდარობას უცხადებს, უკრაინელი ხალხი კი სამშობლოს დასაცავად მზად არის.

# მაკმასტერს ბოლტონი შეცვლის



ხმები გენერალ მაკმასტერის (ტრამპის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში) გადადგომის შესახებ გამართლდა. მაკმასტერი თანამდებობაზე მიმდინარე წლის აპრილამდე დარჩება, შემდეგ კი მას ბოლტონი შეცვლის.

ჯონ ბოლტონი (დაბ. 1948 წელს) ამერიკული პოლიტიკური სპექტრის ყველაზე კონსერვატიულ წრეებს განეკუთვნება. 1989-93 წლებში ის აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე იყო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირი ევალებოდა. 2001-05 წლებში კვლავ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის პოსტი დაიკავა, ამჯერად – შეიარაღების კონტროლის დარგში.

ბოლტონი წლების განმავლობაში მუშაობდა გაეროში. 2007 წლიდან ამერიკის მეწარმეთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია, 2007 წელს კი სამეცნიერო საბჭოს წევრად აირჩიეს.

2010 წელს თანამოაზრეებთან ერთად ისრაელის მეგობართა საზოგადოება შექმნა. ტრამპის მრჩევლად დანიშვნამდე კონსერვატიულ ტელეარხ „ფოქს ნიუსის“ ანალიტიკოსი გახლდათ.

ბოლტონი „ქორებს“ განეკუთვნება. თავის დროზე ერაყში ჯარების შეყვანის მომხრე იყო. ბოლტონი „ბოროტების ღერძის“ (ირანი, ჩრდილოეთ კორეა, კუბა) მიმართ შეურიგებელი პოლიტიკის გატარების მომხრეა. ის ხმამაღლა აცხადებს, რომ ამ ქვეყნების მიმართ სანქციებიც უნდა გაძლიერდეს და სამხედრო ოპერაციებიც განხორციელდეს.

რუსეთის მიმართაც მისი დამოკიდებულება შეურიგებელია. ბოლტონის აზრით, აშშ-მ რუსეთზე ზეწოლა მკვეთრად უნდა გააძლიეროს. ეს გამოიხატება როგორც სანქციების გაძლიერებით, ასევე ისეთი ქვეყნების დახმარებით, როგორებიც არიან უკრაინა და საქართველო.

# მარჩუკი: „უკრაინა დონბასის დაბრუნებისთვის დღესვე უნდა მოემზადოს“



უკრაინის უშიშროების სამსახურის ექსშეფმა, გენერალმა ევგენი მარჩუკმა, განაცხადა, რომ მისი ქვეყანა დონბასის დაბრუნებისთვის უკვე დღესვე უნდა მოემზადოს.

– დონეცკ-ლუგანსკის „რესპუბლიკებმა“ საკუთარი სპეცსამსახურები შექმნეს. რასაკვირველია, მათ დაშლილად გამოვაცხადებთ, მაგრამ მხოლოდ ეს არაფერს ნიშნავს. არცერთი სპეცსამსახური ნებაყოფლობით თავს არ დაგაშლევინებს. შესაძლოა, ფორმალურად თავი დაშლილებად გამოაცხადონ, მაგრამ რეალურად ფუნქციონირება განაგრძონ, – თქვა მარჩუკმა.

გენერლის აზრით, ოფიციალურ კიევს დღეს დონბასის დაბრუნების კონკრეტული გეგმა არ გააჩნია, ეს კი ძალიან ცუდია.

# მერკელი: „სკრიპალი რუსებმა მოწამლეს!“

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ წარმოადგინა უდავო ნივთმტკიცებულებები იმისა, რომ სკრიპალი მართლაც რუსებმა მოწამლეს.

– ამ საქმეში გარეულნი არიან რუსეთის სპეცსამსახურები, რომლებიც პრეზიდენტ პუტინს ემორჩილებიან, – თქვა მერკელმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


# განცხადებები

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის,ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# ახალგაზრდული ნაკრების უღიმღამო მოგება ფარერებთან

**საქართველო – ფარერები 1:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 ზარანდია (47)

**საქართველო:** კუპატაძე, მარგველაშვილი, ნადარაია, ცეცხლაძე, ქანთარია, გიორგაძე, ზარანდია, შულაია, ხარაიშვილი (მიქელთაძე 59), კიტეიშვილი, არაბიძე (ბერიძე 76)

**ფარერები:** ჰანსენი, ვარდუმი, პეტერსენი, მაგნუსონი, ოლსენი, ჰეინესენი (ოლსენი 79), ნიელსენი, იაკობსენი, ბიარტალიო, დანიელსენი, ტომსენი

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში ფარერების ნაკრებთან 1:0 კი მოიგო, მაგრამ სიამოვნება ვერც ჩვენ მივიღეთ, ვერც გულშემატკივარმა და ნათელიც ბუნდოვანი იყო.

საქართველოს ნაკრებს არასოდეს უთამაშია ევროპის პირველობაზე და ამჯერადაც მიზერული შანსი აქვს, რაც თითქმის ნულის ტოლია, რადგან აქამდე ისეთი ქულებია განიავებული, მათი აღმოფხვრა შეუძლებელიც კი ჩანს.

აქედან გამომდინარე, მატჩს დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. თითქოს მაყურებელი ფარერებთან უნდა მოსულიყო, რათა, მოგებას გადაჩვეულებს, ახლა მაინც გაეხარათ, მაგრამ...

გაუჭირდა თავად ნაკრების მწვრთნელ გია ცეცაძეს, რომელმაც ფარერებთან ფრთხილი ტაქტიკა ირჩია და, ყველასთვის მოულოდნელად, შემადგენლობაში 5 მცველი დააყენა.

და მაინც, ანგარიშის გახსნა სტუმრებს შეეძლოთ, როდესაც ცეცხლაძის შეცდომით ტომსენმა ვერ ისარგებლა. ამ შემთხვევაში არც კუპატაძეს არ უნდა დავუკარგოთ კარგი გარჯა.

ჩვენი გუნდი ტერიტორიულ ( და არა სათამაშო) უპირატესობას ფლობდა, უტევდა, თუმცა მეტოქე თავს უნარიანად იცავდა და რეალური სახიფათო მომენტი მათ კართან არ იქმნებოდა. ერთადერთი რაც იყო, ცეცხლაძის დარტყმაა გამოსარჩევი, რომელიც ძელს მოხვდა.



მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრებმა აქტიურად დაიწყო და ანგარიშიც მალევე გაიხსნა: ნადარაია-კიტეიშვილი-ზარანდიას კომბინაცია გოლით დასრულდა – 1:0. მალევე უკვე ხარაიშვილს შეეძლო მეორე გოლის გატანა, მაგრამ კიტეიშვილის კარგი პასი ვერ გამოიყენა.

შანსი მეტოქესაც ჰქონდა – იმავე ტომსენმა ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. დარჩენილი დრო კი უინტერესო ფეხბურთში გაილია და ის მცირერიცხოვანი მაყურებელიც ვერაფრით ასიამოვნეს, ვინც საყურებლად მივიდა.

**გია ცეცაძე:**

– ერთადერთი შეფასება ის არის, რომ უნდა მოგვეგო და მოვიგეთ. ჩვენ სასწაული არ მოგვიხდენია, თუმცა სჯობდა ბევრი გოლი გაგვეტანა. როგორც ნახეთ, მომენტები ბევრი იყო, მაგრამ ფეხბურთელებს პასუხისმგებლობა დიდი აქვთ და ასეთ დროს გამარჯვება ყოველთვის რთულდება. სტუმრად რომ 6:0 მოგვეგო, შინ დიდი ანგარიშით გავიმარჯვებდით. თამაშის ხარისხი ჩემთვის იდეალური ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ მეტოქეს ძალიან ვაჯობეთ. ჩვენ ერთი კვირაა რაც შევიკრიბეთ, მწვრთნელები ვითხოვთ, რომ ფეხბურთელების თითოეული მოქმედება იყოს გააზრებული. მოთამაშეები ცდილობენ დავალებების შესრულებას და გააზრებული ფეხბურთის თამაშს. გუნდის შენება რთული პროცესია, 3 დღეში მნიშვნელოვანი პროგრესი შეუძლებელია. მადლობა ღმერთს და მადლობა ფეხბურთელებს, რომ მოვახერხეთ გამარჯვება, ფარერის კუნძულების ნაკრებთან ქულების დაკარგვის უფლება არ გვქონდა. რაც არ უნდა დროს გავიდეს და რაც არ უნდა განვითარდეს ფეხბურთი, საქართველომ ყოველთვის უნდა დაამარცხოს ფარერის კუნძულების გუნდი. მეტოქეს არ ვაკნინებ, მაგრამ რაც ნამდვილად აქვთ საერთაშორისო დონის, ესაა განწყობა, მხოლოდ ამის თქმა შემიძლია. როგორც გერმანელები და ფრანგები გადიან თამაშზე, ასევე გამოვიდნენ დღევანდელი მეტოქის ფეხბურთელები. მეტოქე ბურთის მოპოვებას აუტებითა და სტანდარტულებით ცდილობდა, მაგრამ ისლანდია სტანდარტულებით ევროპის ჩემპიონატზე გავიდა. ფეხბურთი ისე დაიხვეწა, რომ ყველა გუნდს თავისი მიმართულება აქვს, ჩვენ ვცდილობთ ჩვენი მიმართულება გვქონდეს და, იმედი მაქვს, წარმატებასაც მივაღწევთ.

# 20 წლამდე ნაკრები მსოფლიო ალაფისთვის ემზადება

მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის მზადება დასკვნით ფაზაში შედის. გუნდი შევარდენზე 3-კვირიან შეკრებაზე 19 მარტს შევიდა და ფიზმომზადების პირველი კვირა ტესტებით დაასრულა.

ფრანგული ტურნედან დაბრუნების შემდეგ, სადაც გუნდმა საფრანგეთის 20-წლამდელთა განვითარებად ნაკრებთან 2 თამაში გამართა (პირველი 19:24, მეორე 14:0), პირველად შეიკრიბა. გუნდის მწვრთნელი ლადო კილასონია ამბობს, რომ განვლილ შეკრებაზე სათამაშო ელემენტების დახვეწას დიდი ყურადღება დაეთმო, ახლა კი უპირატესობა ფიზმომზადებას ენიჭება:

**ლადო კილასონია:**

– ფრანგული ტურნე მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო. დაცვითი სისტემა მაღალ ტემპში მოთამაშე გუნდთან გავტესტეთ და კმაყოფილი დავრჩით. განსაკუთრებით კარგი დაცვა გვქონდა მეორე მატჩში, ღია თამაშში სულ ორჯერ დავჯარიმდით, რაც მსოფლიო დონის გუნდების სტანდარტია. გუნდი შეიკრა და საკუთარი თავის ირწმუნა, რაც ასევე მნიშვნელოვანია. გამოჩნდა, რომ შეტევაში დეტალებზე ბევრი გვაქვს სამუშაო. ახლა 3-კვირიან შეკრებაზე ვართ და გამომდინარე იქიდან, რომ საფრანგეთში სარაგბო ელემენტები მეტ-ნაკლებად დახვეწილი იყო, უფრო მეტი ყურადღება ფიზმომზადებას ეთმობა. ვემზადებით სამხრეთ აფრიკული ტურნესთვის, სადაც 9 აპრილს მივემგზავრებით და მესამე კვირაში ბურთის ჩართულობა გაიზრდება.



შეკრებაზე 36 მორაგბეა და ისინი კვირაში ხუთი დღე ვარჯიშობენ, პარასკევს საღამოს სახლში მიდიან და ისვენებენ, კვირას კი „შევარდენის" ბაზაზე ბრუნდებიან:

– პირველი კვირით კმაყოფილები ვართ. გვქონდა ფიზ. მომზადების, ძალოსნური და ბურთით ვარჯიშები. გვსურს, რომ ჩვენი მზადება მაქსიმალურად მივუახლოოთ სათამაშო სიტუაციას, სადაც ყველა ეს კომპონენტი არეულად გვხვდება და ვარჯიშებიც ასე დავგეგმეთ. დღეს ყველაზე რთული დღე გვქონდა, ბიჭები ფიზიკურად განსაკუთრებით დავტვირთეთ და სასიხარულოა, რომ დავალებას ყველამ გაართვა თავი. ჩანს, რომ მსოფლიო თასისთვის ფიზიკურად კარგ მდგომარეობაში ვიქნებით.

მომდევნო კვირაში აქცენტი კვლავ ფიზმომზადებაზე გაკეთდება, თუმცა მწვრთნელები არც სათამაშო ასპექტებს ივიწყებენ. ამ ეტაპზე გუნდს კვლავ აკლია ლეგიონერები და 18-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებული მორაგბეები, რომლებიც 25 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით პოლონეთში ევროპის ჩემპიონატს ითამაშებენ, რის შემდეგაც 20-წლამდელთა ნაკრებს შეუერთდებიან.

**შეკრებაზე არიან:**

გურამ გოგიჩაშვილი, რევაზ ხარაზიშვილი, კოტე მარჯანიშვილი (ყველა ლოკომოტივი), გიორგი ახალაძე, არსენ მაჩალაძე, ოთარ ძაგნიძე (ყველა აია), გიორგი დიასამიძე, ლევან პაპიძე, თენგიზ ზამთარაძე, სოსო ჭყოიძე, ლუკა ჯაფარიძე, გიგა გრიგალაშვილი, ბექა საღინაძე, სანდრო მამამთავრიშვილი, არჩილ აბესაძე, რატი ჟორჟოლიანი, საბა ჯღარკავა, თენგიზ პერანიძე, ბექა აბულაშვილი, ბექა მამუკაშვილი, რამაზ ნიქაბაძე, გიორგი ასათიანი (ყველა ლელო), გიორგი მენაბდე, დურმიშხან ჯაბნიძე (ორივე ბათუმი), გიორგი ხარაიშვილი (ხაშური), ლუკა გელაშვილი, თორნიკე ჯალაღონია, გიორგი ნუცუბიძე, გიორგი წიკლაური (ყველა ჯიქი), სანდრო კალმახელიძე (არმია), თენგიზ გიგოლაშვილი, ლუკა დვალიშვილი, სანდრო სვანიძე (ყველა არმაზი), ელგუჯა კიკვაძე (ბაგრატი), ლევან ნარიმანიძე (ხარები), შოთა სეფაშვილი (ჩოხოსნები).

# ბასილაშვილი მასტერსს მეორე წრეში გამოეთიშა

ნიკოლოზ ბასილაშვილი მაიამის მასტერსს მეორე წრეში გამოეთიშა. საქართველოს პირველი ჩოგანი სამხრეთაფრიკელ კევინ ანდერსონთან ორ სეტში – 4:6, 3:6 დამარცხდა.



ნიკოლოზის ანგარიშზე 5 ეისი და 7 ორმაგი შეცდომა დაგროვდა. მან მეტოქის ჩაწოდება ერთხელ აიღო, საკუთარი კი სამჯერ დაკარგა.

ბასილაშვილი პირველ წრეში იტალიელ ტომას ფაბიანოს შეხვდა და 3 სეტში, მძიმე ბრძოლაში დაამარცხა – 1:6, 6:2, 7:5

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რომელ ტურნირში მიიღებს ბასილაშვილი მონაწილეობას.

# სეზონის ჩინებული დასაწყისი — საქართველომ ლიტვა გაანადგურა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვლადიმირ ვაისმა მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება შეძლო და სასტარტო თერთმეტეულიც ისეთი იყო, რომ იმედიანი მატჩის მოლოდინში ტოვებდა მაყურებელს. ასეც მოხდა... ვაისმა კარი გიორგი ლორიას ანდო, მცველთა კვარტეტი ისეთი იყო, რომელსაც ბოლო პერიოდში შევეჩვიეთ – კაკაბაძე-კვერკველია-კაშია-ნავალოვსკი. ნახევარდაცვის ცენტრს ჯაბა კანკავა და ვაკო გვილია ამაგრებდნენ, მათ წინ ჯანო ანანიძე მოქმედებდა, ხოლო ფლანგებზე – ვაკო ყაზაიშვილი და გიორგი ჩაკვეტაძე, რომლისთვისაც ლიტველებთან მატჩი სადებიუტო იყო ეროვნული გუნდის შემადგენლობაში.

საწყის წუთებში აღნიშვნის ღირსია ჯანო ანანიძის კარგი თამაში. იგი დირიჟორობდა და წარმართავდა საქართველოს ნაკრების შეტევებს, მაგრამ მალევე ტრავმა მიიღო და მე-10 წუთზე შესაცვლელი შეიქნა. ვაისს ტაქტიკური მონახაზის გადაწყობა მოუხდა. ანანიძის ნაცვლად საქმეში გიორგი პაპუნაშვილი ჩართო, რომელმაც მარჯვენა ფლანგზე ყაზაიშვილის ადგილი დაიკავა, ვაკომ კი ჩაკვეტაძის ადგილზე, მარცხნივ გადაინაცვლა, ნაკრების დებიუტანტმა კი გუნდის დირიჟორობა ითავა.

გიორგიმ კარგად გაართვა თავი მის საქმეს. მართალია, ხარვეზები ჰქონდა, მაგრამ ადვილი არ არის 18 წლის ბიჭისთვის სასტარტო შემადგენლობაში სწრაფად ადაპტირება. მთლიანობაში კარგი იყო და გოლიც ჩინებული გამოუვიდა. ეს ქართველთა მეოთხე გოლი იყო, როდესაც ჩაკვეტაძემ საჯარიმოში მიიღო კაკაბაძის პასი, მარტივი მოძრაობით ლიტველი მცველი გააბითურა და მეკარესთან მარტო დარჩენის გოლის გატანა არ გასჭირვებია.

კარგი იყო პირველი გოლიც: ჩინებული კომბინაცია, რომელშიც თითქმის ნახევარი გუნდი მონაწილეობდა და პაპუნაშვილმა დაასრულა.

ქვილითაიას თავურსაც არაფერი დაეწუნებოდა, ერთია, მცველი წაეხმარა, მაგრამ გოლი მშვენიერი გამოვიდა. აი, პენალტი კი საკამათო იყო, მაგრამ ამას ყაზაიშვილისთვის ხელი არ შეუშლია.

კიდევ გავიმეორებთ და ვიტყვით, რომ საქართველოს ნაკრები პირველ ტაიმში ისეთი იყო, რომელსაც გულშემატკივრები ძნელად თუ გაიხსენებენ. გოლების გარდა, გუნდი დიდებულად მუშაობდა ართმევაზე. მართალია, პრესინგი „მახრჩობელა" არ ყოფილა, მაგრამ მეტოქეს საკუთარი ნახევრიდან გადმოსვლა უჭირდა. საქართველოს ნაკრებს ასე დამაჯერებლად დიდი ხანია არ უთამაშია. ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ყველა იმ ფეხბურთელს, რომლებმაც ამ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა, საკმაოდ კარგი სათამაშო პრაქტიკა აქვს.

მეორე ტაიმში გუნდი ცოტა აირია, მეტოქეც უფრო მეტად გადმოდიოდა ჩვენს ნახევარზე, მაგრამ რამე განსაკუთრებული არაფერი შეუქმნია. ვაისის შეგირდებს კი ჰქონდა რამდენიმე მომენტი, მაგრამ ბოლო ფაზაში სცოდავდნენ ან არასწორ გაგრძელებას პოულობდნენ.

მთავარი ის არის, რომ წელი დამაჯერებელი მოგებით გაიხსნა. ერთა ლიგაზე დაახლოებით ასეთი სიძლიერის გუნდები იქნებიან საქართველოს ნაკრების მეტოქეები და, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ლიტვის დიდი ანგარიშით დამარცხება.

მომდევნო შეხვედრას საქართველოს ნაკრები 27 მარტს, 19 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართავს და ჩვენი გუნდის მეტოქე ესტონეთის ნაკრები იქნება, რომელიც სომხეთთან ნულოვან ფრეს დასჯერდა.

**ვლადიმირ ვაისი:**

– რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს მატჩი მოვიგეთ. ყოველთვის ესე არ იქნება. ბრწყინვალე თამაში ვაჩვენეთ პირველ ტაიმში. მატჩის დასაწყისში ჯანო ანანიძემ მიიღო ტრავმა, ის შესანიშნავი ფეხბურთელია და მის გარეშე ძალიან რთული იქნება. ვიმედოვნებ, მალე მოირჩენს ტრავმას. მას ექიმები აკვირდებიან და შემდეგ გვეცოდინება, როდის შეძლებს თამაშს (როგორც გაირკვა, ჯანო 6 თვეს იუქმებს). ჩვენი გუნდის სახე და პოტენციალი ვნახეთ, ვაჩვენეთ ის კონცენტრაცია, რომელიც მნიშვნელოვანია ყველა მატჩის დროს. კარგია, რომ მოვიგეთ, თუმცა უნდა ვიყოთ თანმიმდევრულნი და უკვე ვიწყებთ ესტონეთთან შეხვედრისთვის მომზადებას.

***– რატომ იყო პირველი ტაიმი და მეორე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული? ეს ანგარიშის ბრალია თუ ნაკრებს კონცენტრაცია დააკლდა?***

– მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, როცა ამდენ ცვლილებას აკეთებ, ხდება რაღაც გადაჯგუფებები და ალბათ უფრო ამის ბრალი იყო.

***– ნიკა კაჭარავას წინა ამხანაგურ მატჩებშიც კვიპროსთან და ბელორუსთან მცირე დრო მიეცა, ამ შეხვედრაში კი საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა. ვიხილავთ თუ არა შემდეგ შეხვედრაში?***

– ცხადია, ჩვენ მოვიაზრებთ კაჭარავას შემდეგი თამაშისთვის ძირითადში. ჩვენ 20 ფეხბურთელი გვყავდა და ყველას ვერ ვათამაშებდით. ახლა, როდესაც ჯანომ ტრავმა მიიღო, ხოლო ჩაკვეტაძე გენტს უბრუნდება, კაჭარავას თამაშის საშუალება მიეცემა.

***– რა არ მოგეწონათ დღევანდელ შეხვედრაში და რას შეცვლიდით?***

– რაც ანგარიში გახდა 4:0, ბიჭებმა დაიწყეს მაყურებელზე თამაში და სხვადასხვა ფინტის გაკეთება. მე რაღაც-რაღაცებზე დავხუჭე თვალი და შემდეგ თამაშებში უფრო რადიკალური ვიქნები ამ მხრივ.

***– როგორ შეაფასებდით მომავალ მეტოქეს ესტონეთის ნაკრებს, რომელიც ლიტვასთან შედარებით ბევრად წინაა რეიტინგში? თან, იმ ფაქტორსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ წინა ამხანაგურ შეხვედრაში 3:0 დავმარცხდით?***

– ესტონეთის ნაკრები კარგად გამოიყურებოდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, ასევე თამაშობენ ძალიან კარგ დაცვას და შევეცდებით, მათი სიძლიერეები ვაქციოთ მათ სისუსტედ.

**ედგარას იანკაუსკასი:**

– ეს ჩვენი ნაკრების ისტორიაში ყველაზე ცუდი შეხვედრა იყო. ეტყობა, დაგვავიწყდა, რომ ევროპული ფეხბურთი. მეტოქემ ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაგვჯაბნა. ჩვენ არა გვყავს ლიდერი, რომელიც თამაშს თავის თავზე აიღებს და მატჩში გარდატეხას შეიტანს. მართლაც სამწუხაროა, რომ ქართველებთან სამარცხვინოდ ვითამაშეთ.

# შედეგები

**24 მარტი**

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სომხეთი-ესტონეთი | 0:0 |
| ჩრ.ირლანდია-ს.კორეა | 2:1 |
| საქართველო-ლიტვა | 4:0 |
| კანადა-ა.ზელანდია | 1:0 |
| კენია-კომორი | 2:2 |
| შვედეთი-ჩილე | 1:2 |
| ისრაელი-რუმინეთი | 1:2 |
| მადაგასკარი-კოსოვო | 0:1 |
| ტოგო-კორ დივუარი | 2:2 |
| **ამხანაგური მატჩები (21)** | |
| ინგლისი-რუმინეთი | 2:1 |
| **ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი** | |
| ალბასეტე-ლეონესა | 0:0 |
| ლუგო-ვალიადოლიდი | 0:0 |
| კორდობა-ოვიედო | 1:1 |
| რეუსი-ალმერია | 1:0 |
| ხიხონი-რაიო | 1:0 |
| **იტალია. სერია ბ** | |
| სპეცია-ასკოლი | 1:1 |
| ბარი-ბრეშა | 3:0 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ნემსაძე კარიერას უელსში გააგრძელებს



ბორჯღალოსანთა კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ ინგლისური ბრისთოლი დატოვა და მიმდინარე სეზონის ბოლომდე გინეს პრო 14-ის უელსურ ფრანჩიზში, ოსპრეიზში ითამაშებს.

უელსელები 33 წლის მორაგბეს, შერკინების მეორე ხაზის გარდა, ფლანკერადაც განიხილავენ. ტრანსფერი ზაფხულში უნდა განხორციელებულიყო, თუმცა უილ ჯონსი დაშავდა, ოპერაცია გაიკეთა და გუნდს დიდი ხნით გამოაკლდა, ხოლო ჯასტინ ტიპურიკს 7-კაცა ნაკრებში დაუძახეს და ოსპრეიზმაც 196 სანტიმეტრი სიმაღლის ნემსაძე სასწრაფო წესით სეზონის ბოლომდე გაიფორმა.

**გიორგი ნემსაძე:**

– უელსელებთან დიდი ხანია მოლაპარაკებას ვაწარმოებ. ბევრი რამ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ იყო გადაწყვეტილი – ბრისთოლთან კონტრაქტს ვწყვეტდი და ოსპრეიზში გადავდიოდი. რუმინეთთან გამარჯვების შემდეგ უელსში ჩავედი და ერთი კვირა ვივარჯიშე, რის შემდეგაც კლუბთან კონტრაქტი გავაფორმე. ახლა ბრისთოლში ვარ, პატარ-პატარა საქმეებს ვაგვარებ და მალე ახალ გუნდთან ერთად ვიქნები. გუნდში დიდი კონკურენციაა, ოსპრეიზში 4 მეორეხაზელი ვარჯიშობს და წინასწარ გუნდში მოხვედრა გარანტირებული არავის არაა აქვს. უელსელებს უყვართ მოთამაშეები, რომელთაც რამდენიმე პოზიციაზე შეუძლიათ თამაში და მკითხეს, შევძლებდი თუ არა მესამე ხაზში დადგომას. რა თქმა უნდა, თანხმობა განვაცხადე, ეს ჩემი საყვარელი პოზიციაა და თუ შანსი მომეცემა, რატომაც არა.

ოსპრეიზის გენერალური მენეჯერი დენ გრიფითსი ფიქრობს, რომ ქართველის დამატებით გუნდს შერკინებაში სიმძლავრე მოემატება:

– გიორგი გუნდს სიღრმეებსა და გამოცდილებას შემატებს. ის ფიზიკურად ძლიერი და აგრესიული სტილის მოთამაშეა, რაც ქართველი მორკინალისგან გასაკვირი სულაც არ არის. საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებები სწორედ მორკინალებს უკავშირდება და გიორგი მისი საკვანძო ფიგურა იყო.

ნემსაძე 2007-2016 წლებში საფრანგეთის სხვადასხვა კლუბებში თამაშობდა, ორი წლის წინ ინგლისურ ბრისთოლს შეუერთდა, თუმცა პირველ გუნდში იშვიათად უწევდა თამაში და კლუბის გამოცვლაც ამის გამო განიზრახა.

33 წლის მორაგბე ბორჯღალოსნების ღირსებას 2005 წლიდან იცავს და მის ანგარიშზე 81 კეპი და 13 ლელოა. ის 2011 და 2015 წლების მსოფლიო თასის მონაწილეა.

ნემსაძემ 2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ბორჯღალოსნებს უკაპიტნა და მისი ლიდერობით საქართველოს ნაკრებმა 5-ვე მატჩი მოიგო და ტურნირი დიდი სლემით მოიგო. ამ მოგებით ბორჯღალოსნებმა რაგბი ევროპის ჩემპიონობა მეათედ მოიპოვეს და რუმინეთთან საზიარო ანთიმოზ ივერიელის თასი დაიბრუნეს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კალეიდოსკოპი

## ყოფილი პატიმარი მილიონერი გახდა

ამერიკელმა მამაკაცმა, რომელმაც შეცდომით 31 წელი ციხეში გაატარა, კომპენსაციის სახით მილიონი დოლარი მიიღო.



ლოურენს მაკინი ტენესის შტატიდან 2009 წელს ციხიდან გაათავისუფლეს, ვინაიდან მის საქმეში ახალი მტკიცებულებები გაჩნდა. 61 წლის მამაკაცს გაუპატიურებისა და ძარცვის ბრალდება მოუხსნეს და კომპენსაციის სახით 75 დოლარი მისცეს.

– ჩემი ოცი, ოცდაათი და ორმოცი წელიც კი მთავრობამ წამართვა. საკუთარი ცხოვრების მოწყობის უმცირესი შანსიც კი არ მქონია, – განაცხადა მაკინიმ.

მან კომპენსაციის გაზრდის მოთხოვნის შესაძლებლობა მხოლოდ რვა წლის შემდეგ, 2017 წლის 20 დეკემბერს მიიღო, როდესაც შტატის გუბერნატორმა მისი რეაბილიტირება მოახდინა.

შტატის საჩივრების განხილვის კომისიამ ახლახან დაადგინა მისთვის მაქსიმალური კომპენსაციის მიცემა, რომელიც განკუთვნილია იმ შემთხვევისთვის, თუ ადამიანი შეცდომით იქნა საპყრობილეში მოთავსებული და ამ კომპენსაციის თანხა ერთი მილიონი დოლარია.

მაკინის ერთიანად გადაეცემა 353 ათასი დოლარი, რათა მან მოახერხოს ადვოკატის მომსახურების ანაზღაურება და ვალების დაფარვა, ხოლო დანარჩენ 647 ათას დოლარს ის ყოველთვიურად 3350 დოლარის ოდენობით მიიღებს. სახელმწიფო ფულის გადახდის გარანტიას ათი წლის განმავლობაში იძლევა, ხოლო მაკინის გარდაცვალების შემთხვევაში ფულს მისი მეუღლე და მემკვიდრეები მიიღებენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

## პედოფილი ბავშვთა პორნოს ტყის ზღაპრულ სახლში მალავდა

ამერიკის ვაშინგტონის შტატის ქალაქ მილ-კრიკის მცხოვრებს, რომელიც ხეზე აშენებულ საიდუმლო სახლში შიშველი გოგონების სურათებს ინახავდა, ბავშვთა პორნოგრაფიის შენახვის ბრალდება წაუყენეს.

ტყეში არსებული სახლის თაობაზე ხმები ტურისტებს შორის ვრცელდებოდა, რომლებიც იმ ადგილებში სეირნობდნენ. შტატის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა სახლის მოძებნა გადაწყვიტა. მან სიეტლის აღმოსავლეთით კასკადური მთები გამოიკვლია და სახლიც იპოვა.

მომცრო ხის ნაგებობა სახურავით, შემინული ფანჯრებით, პარმაღითა და კარით 2,4 მეტრის სიმაღლეზე იყო განთავსებული. კიბეზე ასულმა დეპარტამენტის თანამშრომელმა კედლებზე გოგონების ფოტოსურათები აღმოაჩინა. მან რამდენიმე წამოიღო და შერიფს მიუტანა, შემდეგ კი გამომძიებლები ტყეში წაიყვანა.



გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტების თქმით, ქოხი ზღაპრის სახლს მოგაგონებდათ. შიგნით იდგა საწოლი, იყო ტანსაცმელი, ჭურჭელი, საკვების მარაგი და ყოველგვარი ნივთი. ოთხივე კედელზე გაკრული იყო 8-დან 12 წლამდე გოგონების გამოსახულებები. კიდევ რამდენიმე ფოტოსურათი კონვერტებში იყო ჩაწყობილი და წიგნების თაროზე იდო.

გამოძიების ბიუროს აგენტებმა მოძებნეს ადგილობრივი მცხოვრები, რომელმაც ნახა სახლი ხეზე და იქვე გაჩერებული ავტომობილის ნომერი დაიმახსოვრა. აღმოჩნდა, რომ მანქანა ქალაქ მილ-კრიკის მცხოვრებ 56 წლის დენიელ ვუდს ეკუთვნოდა. მის მიერ გადაგდებული ქაღალდის ჭიქაზე აღმოჩენილი დნმ-ს სინჯები დაემთხვა დნმ-ს სინჯებს, რომლებიც ტყეში მდებარე სახლში სხვადასხვა ნივთიდან იყო აღებული. მამაკაცის სახლში ჩატარებული ჩხრეკის დროს იპოვეს მეხსიერების ბარათი, რომელზეც პატარა გოგონების ათასობით შიშველი ფოტოსურათი ინახებოდა.

ვუდის საქმის სასამართლო მოსმენა თვის ბოლოსთვის გაიმართება. მას ბავშვთა პორნოგრაფიის შენახვის ბრალდება აქვს წაყენებული.

## პითონი მოზარდს თავს ტუალეტში დაესხა



ავსტრალიაში ტუალეტში მოზარდს თავს დაესხა პითონი. ამ ინფორმაციას ადგილობრივი ახალი ამბების პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი სენშაინ-კოსტის სანაპირო რაიონში მოხდა. 17 წლის ყმაწვილი საღამოხანს ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ტუალეტში შევიდა და, როდესაც უნიტაზზე დაჯდა, იგრძნო, რომ ფეხზე რაღაც ცივი ეხვეოდა. მან ძირს დაიხედა და დიდი გველი შენიშნა.

ბიჭი არ დაიბნა, პითონს თავისუფალი ფეხი ჩასცხო, თავი გაითავისუფლა და გარეთ გამოვარდა, ხოლო ქვეწარმავალი შიგნით ჩაკეტა. საბედნიეროდ, გველმა კბენა ვერ მოასწრო.

ყმაწვილის დედა დამოუკიდებლად შეეცადა 1,8 მეტრი სიგრძის პითონი გაეგდო, მაგრამ ქვეწარმავალი უკიდურესად აგრესიულად იქცეოდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა გველებზე მონადირემ აღიარა, რომ მის პრაქტიკაში ის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ქვეწარმავალი იყო.

## კიბორჩხალა ბრაზილიელთან დანებით ორთაბრძოლაში დამარცხდა



ბრაზილიელმა ვიდეოზე გადაიღო კიბორჩხალასთან გამართული დანებით ორთაბრძოლა, რომელიც შემდეგ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ვიდეოზე კიბორჩხალა სამზარეულოს ნიჟარაში გადაადგილდება, რა დროსაც ცალ წინა მარწუხში დანა უკავია. ოპერატორი მას ასევე დანის პირს უშვერს. ნიჟარაში კიბორჩხალის ერთ-ერთი ფეხი აგდია, თუმცა უცნობია, ეს მისი კიდურია თუ რომელიმე მისი თანამოძმის. ვიდეორგოლის ფინალში კიბორჩხალა ნებდება, დანას აგდებს და მარწუხებს მაღლა სწევს.

რამდენიმე დღის განმავლობაში ვიდეომ 447 ათასი გადაწერა მიიღო. კომენტატორები აღნიშნავდნენ, რომ კიბორჩხალის ასეთი ორთაბრძოლის შემდეგ ის უნდა გაეთავისუფლებინათ, თუმცა უცნობია, ასე მოიქცა თუ არა ვიდეოს ავტორი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## სკანვორდი



1. ეკალმუხა (საბა); 2. ბუვიეს რომანი; 3. „... დამაცადე!“; 4. ჯეი ...; 5. ქოჩრიანი თუთიყუში; 6. ... მერფი; 7. ხანა, ეპოქა; 8. პატარა ჩიტი; 9. ... პუგაჩოვა; 10. ცხენების ჯოგი; 11. მეგრული საალერსო სიტყვა; 12. პითონი; 13. მათემატიკური დებულება; 14. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 15. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 16. დაწყებითი სკოლა (ძვ.); 17. მაუგლის მეგობარი გველი; 18. „ოტელოს“ პერსონაჟი; 19. ბუნებრივი საღებავი; 20. მხარე დასავლეთ საქართველოში; 21. თვალების უნებური სწრაფი მოძრაობა; 22. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში; 23. ოიდიპოსის დედა და მეუღლე; 24. ერთგვარი ბალახი; 25. კვერნისებრთა ოჯახის ცხოველი; 26. თარაშ ემხვარის ცხენი; 27. იუპიტერის თანამგზავრი; 28. ... სიბელიუსი; 29. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 30. მწკრივი; 31. ასო „რ“-ს სახელწოდება; 32. ტიბეტური ხარი; 33. ტაბლეტი; 34. მაიმუნის სახეობა; 35. მშვენიერი ელენეს ქმარი; 36. ... გიბსონი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაიკერი; 2. ჟინვალი; 3. ეგეოსი; 4. შპრეე; 5. „არსენალი“; 7. მზე; 11. როკოკო; 15. არიფანა; 16. „კომბლე“; 17. გაგრა; 18. ესაძე; 20. „გუელი“; 22. კაპი.

**თარაზულად:** 6. აღლუმი; 8. ქირურგი; 9. ბურგასი; 10. კარცერი; 12. კასიო; 13. ებანი; 14. კლაკიორი; 19. ეპილოგი; 21. „დარიკო“; 23. სეიმი; 24. წრიაპი; 25. ინსულტი; 26. ვესტერნი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტაპიორი; 2. ოფიცერი; 3. „ლივერპული“; 4. ბელუჩი; 9. მახნო; 10. ინიესტა; 14. ინტენდანტი; 15. პოსტულატი; 16. ელარჯი; 19. „ძელშავი“; 20. ანდები; 21. ამქარი.

**თარაზულად:** 6. რატიფიკაცია; 7. მეტეორი; 8. კიბუცი; 11. მარჩილი; 12. დრონი; 13. ჰუდზონი; 17. მონმარტრი; 18. პოლიგლოტი; 22. კნეთელი; 23. ჯომარდი; 24. კვესტურა; 25. ბირთვისი.

## ასტროპროგნოზი 26 მარტისთვის



**ვერძი** – მკვეთრ გამონათქვამებს, კონფლიქტში ჩართვას ერიდეთ. ასევე არასასურველია ორაზროვანი ხუმრობები. **კურო** – უმიზეზო განგაშის შეგრძნება გაქვთ. საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. პასუხისმგებლობას სხვას ნუ დააკისრებთ. **ტყუპები** – საოჯახო საქმეები დიდ ენერგიას არ გართმევთ. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. **კირჩხიბი** – თავს ნურავის მოატყუებინებთ. წყენა გულში არ ჩაიტოვოთ. ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. **ლომი** – მძიმე, სახიფათო დღეა. გარშემომყოფებთან ურთიერთობა დაძაბულია. წინდაუხედავი ლაპარაკი საქმეს უფრო გაართულებს. **ქალწული** – ნუ გარისკავთ. აკონტროლეთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. რომანტიკულ ურთიერთობებსა და საოჯახო საქმეებს შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. **სასწორი** – იყავით მობილიზებული. ნუ მოეშვებით. ურთიერთთანამშრომლობაზე მაშინვე ნუ დათანხმდებით. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური მუშაობისათვის. ძალები დაზოგეთ. **მშვილდოსანი** – ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის შესაფერისი პერიოდია. ნუ იქნებით ზედმეტად კატეგორიული. **თხის რქა** – პირად ცხოვრებაში ერთგვარი არასტაბილურობა შეინიშნება. მიხედეთ ჯანმრთელობას. **მერწყული** – სულიერი განახლების დღეა. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა და სექსუალური პოტენციალი. **თევზები** – სამოგზაუროდ წასვლა უნდა გადადოთ. იმედი გიცრუვდებათ. ცვლილებები მშვიდად მიიღეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## მანანა თოდაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან



ანსამბლ „ივერიის“ გამორჩეულ წევრს, მომღერალ მანანა თოდაძეს, თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან.

ვარსკვლავის გახსნა კულტურის პალატამ 27 აპრილს დაგეგმა. ვარსკვლავის გახსნის საზეიმო ცერემონიალამდე დიდ საკონცერტო დარბაზში მანანა თოდაძის საიუბილეო საღამო გაიმართება. მასში მონაწილეობას იუბილარ მომღერალთან ერთად ანსამბლ „ივერიის“ ლეგენდარული წევრები მიიღებენ.

შემოქმედებითი საღამოს დასრულების შემდეგ კი დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მანანა თოდაძის ვარსკვლავიც გაჩნდება.

## ნოდიკო ტატიშვილმა ახალი კლიპი პარიზში გადაიღო



ნოდიკო ტატიშვილმა ახალ სიმღერაზე კლიპი პარიზში გადაიღო. სიმღერის ავტორი რუსა მორჩილაძეა, ტექსტი კი ირინა სანიკიძემ დაწერა. „ნუ განიკითხავ“ – ასე ეწოდება ახალ სიმღერას, რომელზეც ვიდეორგოლი ნესტან სინჯიკაშვილმა გადაიღო. ეს რეჟისორისა და მომღერლის პირველი თანამშრომლობა არ არის. სწორედ ნესტან სინჯიკაშვილმა გადაიღო კლიპი ნოდიკო ტატიშვილისა და სალომე ბაკურაძის დუეტზე, რომელიც მსმენელში განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს.

სიმღერა მომღერალმა „ბრავო რეკორსდში“ ჩაწერა და ნამუშევრის სრულყოფილებაზე ალეკო ბერძენიშვილმა და ბორიკო შხიანმა იმუშავეს.

კლიპის ტელეპრემიერა მომღერალმა მაია ასათიანის გადაცემა „პროფილში“ გამართა.

## ნუცა შანშიაშვილი ნიუ იორკში სტუდიას ხსნის



მომღერალი ნუცა შანშიაშვილი, რომელიც წლებია, ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ნიუ იორკში მუსიკალურ სტუდიას ხსნის.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– არ შემიძლია არ გაგიზიაროთ ძალიან საინტერესო ამბავი. მშენებელი, ინჟინერი, მრავალი პროექტის შემქმნელი, ჩემი ამერიკელი მეგობარი, ბელა გურფელი, ხსნის ჩემს სტუდიას – ნიუ იორკ ნუცა სტუდიოს, სადაც ჩემ გარდა იმუშავებს ბევრი ბრწყინვალე პედაგოგი ხელოვნების სხვადასხვა დარგში. დოკუმენტი თითქმის ყველა დამტკიცებულია ნიუ იორკის დეპარტამენტის მიერ. ვართ ფართის ძიებაში და თიმის შევსების პროცესში.

## კოჯრის კაბენის ნამონასტრალის მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარი არაპროფესიონალური აღდგენით დააზიანეს



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გაამკაცრა ზომები ეკლესია-მონასტრებში თვითნებური სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით, მაინც არის შემთხვევები, როდესაც არაპროფესიონალების მიერ ჩატარებული თვითნებური სარესტავრაციო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს დიდ ზიანს აყენებს და ამახინჯებს.

დეკანოზმა ილია ჭილლაძემ კოჯრის კაბენის ნამონასტრალის მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის ფოტოები გაავრცელა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს რეაგირება სთხოვა:

– კოჯრის კაბენის ნამონასტრალის მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარი, მე-13 საუკუნის დასაწყისი, თბილისის მუნიციპალიტეტი. 2000-იან წლებში კუსტარული, თვითნებური, არაპროფესიონალური აღდგენითაა დაზიანებული. დაზიანდა საკტიტორო წარწერაც. საჭიროებს რესტავრაციას.

## ანი ღლონტს დეზინფორმაციას უვრცელებენ



მომღერალ ანი ღლონტს, რომელიც ლაშა ღლონტის შვილია, დეზინფორმაციას უვრცელებენ:

– რუსთავი 2-ის მუსიკალურ პროექტთან „მხოლოდ ქართული“ არანაირი შეხება არ მაქვს! შესაბამისად, არანაირი პრივილეგიით არ სარგებლობს „ღლონტის გოგო“, ურიგოდ არ აპარებენ შესარჩევ ტურზე და ა.შ.

არც მეგონა, ამდენი მითქმა-მოთქმა თუ იყო, მსგავსი რამ არავისთან მითქვამს და კონკურსანტებს ვინ ეუბნება მსგავს მონაჭორს, ვითომ ჩუმად გავიარე ყველა ტური და მალე გაიგებენ, რომ კონკურსში ვარ, არ ვიცი.

ასეთი არასამართლიანი გზით რომ ვიღებდე მონაწილეობას, უნიჭო უნდა ვიყო და ნაცნობების დახმარება მჭირდებოდეს და რა ვიცი. წარმატებას ვუსურვებ ყველას, ვინც მონაწილეობას იღებს, უამრავი უნიჭიერესი ახალგაზრდაა და მიხარია, რომ მსგავსი პროექტებით უფრო მოხდება ქართული სიმღერის პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში.

მე კი აუცილებლად „ვითანამშრომლებ“ აწი უფრო აქტიურად ქართულ სიმღერასთან, ოღონდ კონკურსის გარეშე.

## იტალიის ელჩმა დავით მაღრაძე დააჯილდოვა



იტალიის ელჩმა ანტონიო ბარტოლიმ ქართველ პოეტ დავით მაღრაძეს იტალიის ვარსკვლავის კავალერის ორდენი გადასცა.

დავით მაღრაძე 2011 წელს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი. იგი საქართველოს ჰიმნის ავტორი და ასოციაცია „იტალია-საქართველოს“ პრეზიდენტია.

დავით მაღრაძის შემოქმედებას იტალიაში კარგად იცნობენ. მისი ნაწარმოებები თარგმნილია იტალიურ ენაზე და პოეტი რამდენიმე პრესტიჟულ ჯილდოსა და პრემიის მფლობელიც არის.

## თემურ ყვითელაშვილი 55 წლის იუბილეს ახალი ალბომის გამოცემით აღნიშნავს



ვირტუოზი გიტარისტი თემურ ყვითელაშვილი 55 წლის იუბილეს ახალი ალბომის გამოცემით აღნიშნავს.

ალბომის პრეზენტაცია 27 მარტს სასტუმრო „ამბასადორში“ გაიმართება. ალბომში მუსიკოსმა ახალი მუსიკალური კომპოზიციები შეიტანა.

იუბილარი გიტარისტის გადაწყვეტილებით, მისი ალბომის წარდგინებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

## ქეთი დოლიძე კინომსახიობთა თეატრის ახალ სამხატვრო ხელმძღვანელს აკრიტიკებს



რეჟისორი ქეთი დოლიძე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ შეცვალა.

ქეთი დოლიძე თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის 7-თვიან მუშაობას აჯამებს და აკრიტიკებს:

– ახალ სამხატვრო ხელმძღვანელს რომ მიიყვან თეატრში და ის 7 თვე სპექტაკლს არ გამოუშვებს, თან არცერთს, ერთი სტუდენტური ეტიუდის გარდა და როცა თითქმის მილეულია სეზონი, ეს რამეს ჰგავს?!

ამაზე პასუხს ვინ აგებს?!

„სორრი!“

იმათ ექნებათ ალბათ პასუხი, ვინც მე გამიშვა სამხატვრო ხელმძღვანელობიდან! ჩემივე ყოფილ მეგობრებს, რომლებიც, თითქმის ყველა, ჩემს სპექტაკლებში თამაშობდნენ!

„ასტა ლა ვისტა!“

## „რიკი ე პოვერი“ თბილისში კონცერტს გამართავს



ცნობილი იტალიური ჯგუფი „რიკი ე პოვერი“ 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისში კონცერტს გამართავს.

ჯგუფი საქართველოში კომპანია „ფიქს გროუპს“ ჩამოჰყავს. 50-წლიანი ისტორიის მქონე ჯგუფი საიუბილეო ტურნეს ფარგლებში 2018 წელს საქართველოს ეწვევა.

იტალიელი პოპმუსიკის კოლორიტი ჯგუფი 60-იანი წლებიდან ზრუნავს მსმენელის სიამოვნებასა და ამაღლებულ განწყობაზე. მათი სიმღერები მსმენელში დღესაც პოპულარობით სარგებლობს. ჯგუფს გაყიდული აქვს 20 მილიონამდე ალბომი მსოფლიოს მასშტაბით და მათი პოპულარობა იტალიის საზღვრებს კარგა ხანია გასცდა.

„რიკი ე პოვერი“ საქართველოში პირველად არ ჩამოდის. მომღერლებს კონცერტები გამართული აქვთ როგორც თბილისში, ასევე ბათუმში. 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტს კი ჯგუფის წევრები 14 დეკემბერს სპორტის სასახლეში გამართავენ.

## ხაშურში გზის სავალ ნაწილზე ქვევრი აღმოაჩინეს



ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ დუმაცხოვში გზის სავალ ნაწილზე, კვირიკეს ეკლესიასთან ახლოს, ადგილობრივებმა ქვევრი იპოვეს.

ინფორმაცია და ფოტოები გიორგი ჩუბინიძემ გაავრცელა:

– ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ დუმაცხოვში, კვირიკეს ეკლესიასთან ახლოს, ადგილობრივებმა გზაზე ეს ქვევრი იპოვეს.

სოფელში გაზი გაჰყავთ და შესაბამისი მანქანის მუშაობისას იპოვეს. ეს ფოტოები გამომიგზავნეს.

საინტერესოა ქვევრის თარიღი. დიდი ხანია, ამ ადგილას ჩვეულებრივი გზა გადის, შესაბამისად, ქვევრი ახალი არ უნდა იყოს. ვის შეიძლება მივმართო, რომ ჩავიდნენ და ტერიტორია შეისწავლონ?

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

### თენგიზ ღლონტის ხსოვნას



ჩვენო თენგო, 27 მარტს 4 წელი სრულდება, რაც ამქვეყანას გამოეთხოვე გულის უეცარი შეტევით. უსაზღვროა ჩვენი გულისტკივილი შენი ასე უდროოდ – 60 წლის ასაკში სამუდამო სასუფეველში წასვლის გამო. შენი თბილი, მოსიყვარულე ბუნების ასე მოულოდნელად ჩაქრობამ დიდად დაგვამწუხრა ყველა შენი ახლობელი.

ბედისწერამ მეტად ადრე დაგაშორა შენს საყვარელ ოჯახს: სანაქებო მეუღლეს – მეგის, სანიმუშო შვილებს – სოფიკოსა და შოთიკოს, ძმას თემურს, ძმისშვილებს, ბიძაშვილებს, მამიდაშვილებსა და მრავალ ახლობელ ადამიანს.

ჩემო საყვარელო ძმისშვილო, თენგო, ახლაც ჩამესმის შენი მგრძნობიარე მომართვა – მამიდული და მძიმე სევდა მეუფლება. შენი ალალი, კეთილი სახის დავიწყება შეუძლებელია...

განუშორებლად ჩვენთან ხარ სევდიანი ხსოვნით...

შენი მეუღლე და შვილები ღირსეული პატივით უკვდავყოფენ შენს ნათელ ხსოვნას და გულმოდგინედ უვლიან შენს ნაამაგარ მშვენიერ კარმიდამოს...

მშვიდად განისვენე, ჩვენო თენგო, შენს ამაგდარ მშობლებთან და მრავალ საყვარელ ახლობელ ადამიანთან ერთად!

***შენი კლარა მამიდა, მამიდაშვილები თინათინ და ზურაბ ჩხეიძეები ოჯახებით***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კალეიდოსკოპი

### იაპონელ პოლიციელ ქალს იაკუძა შეუყვარდა და სამსახური დაკარგა

იაპონიაში პოლიციის თანამშრომელ ქალს მაფიის იაკუძას დაკავებული წევრი შეუყვარდა, რის შედეგადაც მას სამსახურის დატოვება მოუხდა.

გასული წლის ნოემბერში ტოკიოს სპეციალური რაიონის სინძიუკუს პოლიციის განყოფილების ოფიცრებმა დააპატიმრეს დანაშაულებრივი გაერთიანების 30 წლის წევრი. პატიმრობაში ყოფნის დროს მას დაუმეგობრდა განყოფილების 23 წლის თანამშრომელი გოგონა. როდესაც მამაკაცი გაათავისუფლეს, ისინი ერთმანეთს წერილებს უგზავნიდნენ, გარკვეული დროის შემდეგ კი შეხვედრები დაიწყეს და ერთადაც კი დაისვენეს.

მალე მათი რომანის შესახებ ცნობილი გახდა გოგონას კოლეგებისთვის და მასთან მიმართებით შიდაგამოძიება დაიწყო. პოლიციას გაუჩნდა ეჭვი, რომ გოგონა თავის შეყვარებულს საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა საქმეზე, რომელიც მისი კლანის წევრის წინააღმდეგ იყო აღძრული. დაკითხვის დროს გოგონამ აღიარა, რომ შეყვარებულს მართლაც აწვდიდა ინფორმაციას, თუმცა, მისივე თქმით, ის ფიქრობდა, რომ მამაკაცი ამის სანაცვლოდ მათი რომანის შესახებ არავის მოუყვებოდა.

საბოლოოდ გოგონა ექვსი თვით ჩამოაშორეს სამსახურს, ხოლო 19 მარტს მან განცხადება დაწერა სამსახურიდან წასვლის თაობაზე. უცნობია, აგრძელებს თუ არა გოგონა შეყვარებულთან ურთიერთობას.



### ნარკომან ქალს ციხე კაფე ეგონა და სენდვიჩი შეუკვეთა



ამერიკელმა ქალმა, რომელსაც ცხვირზე თეთრი ფხვნილის ნარჩენები ჰქონდა მიკრული, ციხეში, რომელიც მას გზისპირა კაფე ეგონა, სენდვიჩი შეუკვეთა. საბოლოოდ პოლიციამ ქალი დააპატიმრა.

ლიზაბეტ ილდეფონსო 16 მარტს, დაახლოებით დილის 10 საათზე, ავტომობილით ნიუ იორკის შტატის საფოლკის ოლქის ციხესთან მივიდა და მცველებს ბუტერბროდი ბეკონით, კვერცხითა და ყველით შეუკვეთა.

შერიფის თანაშემწე ივონა დე კარომ ქალს განუმარტა, რომ ის ფასტფუდში არ იმყოფება, თუმცა ილდეფონსო თავისი შეკვეთის მიტანას მაინც ითხოვდა. საუბრის დროს დე კარომ შენიშნა, რომ ქალს თვალის გუგები გაფართოებული ჰქონდა, გამოხედვა – შუშისებური, ხოლო ცხვირის მარცხენა ნესტოზე თეთრი ფხვნილის კვალი ეტყობოდა.

მას სისხლში ნარკოტიკების შემცველობაზე ტესტი ჩაუტარდა, რის შემდეგაც ქალი დააპატიმრეს. გარდა ამისა, ის მანქანის საჭესთან იჯდა, ხოლო მანქანის მართვის მოწმობა თან არ აღმოაჩნდა. ქალს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მანქანის მართვისა და მართვის მოწმობის გარეშე მანქანის მართვის ბრალდება წაუყენეს.

### ტურისტი გოგონა ტალღამ ზღვაში გადააგდო და გადარჩა




ჰონდურასში ტურისტი გოგონა, რომელიც ფოტოსურათისთვის პოზირებდა, დიდმა ტალღამ ზღვაში გადააგდო.

ინციდენტი კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულ როატანზე მოხდა. ამ შემთხვევის ამსახველ ვიდეოზე ჩანს, რომ გოგონა ტალღების მჭრელ ნაგებობაზე ასვლას ცდილობს, მიუხედავად იმისა, რომ ზღვაზე ღელვაა. ამ დროს მისი მეგობარი გოგონა ნაპირზე დგას და ფოტოსურათის გადასაღებად ემზადება. სწორედ ამ დროს ტურისტს უზარმაზარი ტალღა დაეჯახა.

თვითმხილველთა თქმით, გოგონა წყალში გადავარდა, თუმცა მან ნაპირზე ამოსვლა მოახერხა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაკაწრებითა და ჩალურჯებებით გადარჩა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 მარტისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4314

ევრო — 2.9972

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4273

100 რუსული რუბლი — 4.2485

**ამინდის პროგნოზი 26 მარტისთვის**





**20 მარტიდან**

**საქართველოს მეფეთა ისტორია**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**




**27 მარტიდან**




ავთანდილ ბუხრაშვილი

**მყუდრო აგარაკის საიდუმლოება**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

**13 მარტიდან**




ავთანდილ ბუხრაშვილი

**ქალი ჩანთაში**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

**15 მარტიდან**

100 ამბავი

**მსოფლიო მონარქები**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**




**22 მარტიდან**




**180 ამბავი**

**ილია ჭავჭავაძე**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მარტიდან**

**130 ამბავი**

**ლუდი**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**





## იუმორი

ქალაქიდან სოფელში არდადეგებზე ჩასული სტუდენტი შვილი მამას ეუბნება:

– მამა თოფი მომეცი, დათვზე სანადიროდ უნდა წავიდე.

– რას ამბობ, შვილო, პაპაშენი დათვზე სანადიროდ შურდულით დადიოდა, მეც ასევე შურდულით დავდიოდი და შენ თოფით გინდა ინადირო?!

შვილმა არ დაიშალა, თოფი აიღო და სანადიროდ წავიდა. ტყეში შესული, გზად უზარმაზარ დათვს გადაეყარა. ცხოველი უკანა თათებზე წამოიმართა და საშინელი ხმით დაიღრიალა. ბიჭმა თოფი მოისროლა და უკანმოუხედავად გაიქცა სახლისკენ.

– არ გამომივიდა ნადირობა, თოფიც სადღაც დავკარგე, – უთხრა მამას სახლში დაბრუნებულმა.

– ჰოო, ახლა ტყეში საერთოდ აღარ შეისვლება.

– რატომ?

– აქამდე დათვს ორი შურდული ჰქონდა, ახლა კი უკვე თოფიც აქვს.

•••

სამი პერიოდი ქალის ცხოვრებაში:

1.ანერვიულებს მამას.
2.სისხლს უშრობს ქმარს.
3.აცოფებს სიძეს.

•••

დედამთილმა პირველად ნახა ახალშობილი შვილიშვილი და რძალს ეუბნება:

– საერთოდ არ ჰგავს ჩემს შვილს!

რძალმა კაბა აიწია და დედამთილს ეუბნება:

– ეს ქსეროქსის აპარატი არ არის!!!

•••

მატჩის შემდეგ სახლში დაბრუნებული ფეხბურთელი ქმარი ცოლთან ტრაბახობს:

– დღეს ორი გოლი გავიტანე!

– ყოჩაღ და თამაში რა ანგარიშით დასრულდა?

– 1:1...

•••

სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ მამას კართან შვილი მიეგება და ეკითხება:

– გამარჯობა, მამა! რამე მომიტანე?

– არა, შვილო, დღეს არაფერი მიყიდია.

ბავშვმა დედას გასძახა:

– მოდი, შეეგებე, შენი ქმარი დაბრუნდა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სეზონის ჩინებული დასაწყისი — საქართველომ ლიტვა გაანადგურა

**საქართველო – ლიტვა 4:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 პაპუნაშვილი (15), 2:0 ქვილითაია (23), 3:0 ყაზაიშვილი (31პ), 4:0 ჩაკვეტაძე (40)

**საქართველო:** ლორია, ნავალოვსკი, კაშია (დვალი 61), კვირკველია, კაკაბაძე, კანკავა (კვეკვესკირი 61), ანანიძე (პაპუნაშვილი 11), გვილია, ჩაკვეტაძე (აბურჯანია 69), ყაზაიშვილი (მერებაშვილი 83), ქვილითაია (არაბული 73)

**ლიტვა:** სეტკუსი, სლავიცკასი, კლიმავიჩიუსი, გიდრვაინისი, ბოროვსკი, ზულპა (ვორობიოვსი 46), ვერბიცკასი (პაულიუსი 81), ნოვიკოვასი (ლასიცკასი 60), ჩერნიხი (რომანოვსკი 81), სერნასი (ლაუკზემისი 72), ვალსკისი (კუკლისი 46)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წლის პირველ შეხვედრაში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ლიტვის ნაკრებს უმასპინძლა და მეტოქე დიდი ანგარიშით, 4:0 დაამარცხა.

ბალტიისპირელებთან აქამდე ყველაზე დიდი ანგარიშით 2001 წელს ლიტვაში ანალოგიური ანგარიშით გვქონდა მოგებული. 17 წლის შემდეგ კვლავ მსგავსი ანგარიში დავაფიქსირეთ.

მთელი შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ მაღალ ტემპში ჩაატარა და ბოლო პერიოდში ძნელად თუ გავიხსენებთ შეხვედრას, რომელშიც საქართველოს ნაკრები შეტევაზე იყო ორიენტირებული.

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**



## გაყიდვების მენეჯერმა თავის საქმიანობას მეძავობა ამჯობინა

25 წლის ლანა უესტმა გაყიდვების მენეჯერის პროფესია მიატოვა და მეძავი გახდა. ახალი სამსახურის განსაკუთრებულ თავისებურებებზე გოგონა ერთ-ერთ ცნობილ გამოცემას ესაუბრა.



უესტის თქმით, ის ლეგალური მეძავეა, ვინაიდან ამერიკის ნევადის შტატში სექსისთვის ფულადი ანაზღაურება კანონით დაშვებულია. მისი თქმით, ის თავს სრულიად უსაფრთხოდ გრძნობს და ასე მუშაობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ტელეფონში ჩატვირთული სექსგაცნობის მომსახურებით სარგებლობა.

გოგონას თქმით, ამჟამად თვეში 30 ათას დოლარს გამოიმუშავებს. ის უპირატესობას მუდმივ კლიენტებს ანიჭებს, რომლებიც სექსის სანაცვლოდ მას არა მხოლოდ ფულს აძლევენ, არამედ მისთვის ყიდულობენ ახალ ჩასაცმელს, დაჰყავთ სასადილოდ და ბინის ფულსაც უხდიან. ერთადერთ პრობლემას ოჯახი წარმოადგენს, რომელიც ნეგატიურად შეხვდა მის ახალ საქმიანობას, თუმცა თავად არ ესმის, რა მიზეზით. უესტის თქმით, მისი მშობლები რელიგიურები არ არიან და შეეძლოთ, უფრო შემგუებლურები ყოფილიყვნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ჩოგბურთის გუნდის მწვრთნელი; 7. მოყვითალო პიგმენტი; 8. პოლიტიკური გაერთიანება; 9. ხის მოჭრისას მიწაში ჩარჩენილი ნაწილი; 10. შტატი აშშ-ში; 11. თვითმფრინავიდან რითიც ხტებიან; 15. ჭიები, უმეტესად პარაზიტები; 17. იგივეა, რაც მელოტი; 19. რუსი კლასიკოსი მწერალი; 21. ურანის თანამგზავრი; 22. ფსიქიკურად დაავადებული (ბოდვები, ჰალუცინაციები); 23. ტრამვაის მძღოლი.

**შვეულად:** 1. მცენარე დამუხლული ღრუ ღეროთი; 2. რამე საქმეში უაღრესად დახელოვნებული ადამიანი; 3. პლანეტის სამოძრაო გზა; 4. რომის პაპის გვირგვინი; 5. მთავრობის წევრი; 8. ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებისათვის ფერის მიმცემი ნივთიერება; 12. ფირნიში; 13. შურისძიების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 14. მშობიარობის ნაადრევი ხელოვნური შეწყვეტა; 16. მასობრივი, უმეტესწილად საპროტესტო თავყრილობა; 18. შემეცნებით-გასართობი საშუალება; 20. „... მბორგალი".

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

